www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 24 სექტემბერი, 2013 წელი. | №3371 (178) | ფასი 50 თეთრი

მოსახლეობის 72 პროცენტი ივანიშვილის წასვლას მხარს არ უჭერს

დათო გამისონია

ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საქართველოს ოფისის დირექტორმა ლუის ნავარომ გუშინ კვლევის „საზოგადოების განწყობა საქართველოში“ პრეზენტაცია გამართა.

სოციოლოგიური კვლევის შედეგებს NDI საზოგადოებას ტრადიციულად ორ ნაწილად აცნობს. პოლიტიკური რეიტინგების პრეზენტაცია ხუთშაბათს გაიმართება, მანამდე კი ლუის ნავარომ სხვადასხვა საკითხების შესახებ საზოგადოების დამოკიდებულება წარმოადგინა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე



ხმაური უწყებათშორისი კომისიის სხდომაზე

საარჩევნო საკითხებისთვის შექმნილ უწყებათშორისი კომისიის მუშაობას შესაძლოა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გამოეთიშოს. კომისიის სხდომაზე ხმაური უმცირესობის წევრ თინა ბოკუჩავას პრეზენტაციას მოჰყვა. **ძალიან სამწუხაროა, მაგრამ უწყებათშორისი კომისიის სხდომა სამარცხვინო იყო, ქართული ოცნების წარმომადგენელმა ირინა იმერლიშვილმა სხდომის მიმდინარეობა, უკაცრავად, მაგრამ წივილ-კივილის რეჟიმში გადაიტანა. მე ფაქტების კონსტატაციას ვახდენდი, რომელთა შესახებაც „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ უწყებათშორის კომისიას აცნობა,“** - აღნიშნავს ბოკუჩავა. მისი თქმით, „ნაციონალურ მოძრაობას“ კომისიის მუშაობაში მონაწილეობა სურს და ყველაზე მეტი საჩივარი სწორედ მას შემოაქვს, მაგრამ იმერლიშვილის მოქმედების გამო სხდომებში „ნაციონალური მოძრაობის“ მონაწილეობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანისთვის გაუგებარია, რა გახდა თინა ბოკუჩავას პრეზენტაციისას სხვა პოლიტიკური პარტიების პროტესტის მიზეზი.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

კიდევ 10 ჰექტარის ოკუპაცია

დიცის შემდეგ რუსმა სამხედროებმა მავთულხლართების გაბმა სოფელ დვანში დაიწყეს.

გუშინ, 9:00 საათზე დვანთან ისევ გამოჩნდნენ რუსი მესაზღვრეები და სადემარკაციო სამუშაოები განაახლეს.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოექცევა ბაღები, ხეხილი და სახნავ-სათესი მიწები. არსებული ინფორმაციით, სამუშაოები ორ დღეში დასრულდება. ადგილობრივები ამბობენ, რომ რუსმა ოკუპანტებმა მათ ხეხილის დასაკრეფად სწორედ ორი დღე მისცეს.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

მერკელი ტრიუმფალურ გამარჯვებას ზეიმობს

ივა შილაკაძე

საარჩევნო კომიტეტის ცნობით, კვირას ჩატარებული არჩევნების შედეგად გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა და მისმა «ქრისტიანულ-დემოკრატიულმა კავშირმა» (უფრო ზუსტად, ამ კავშირისა და «ქრისტიანულ-სოციალური კავშირის» ბლოკმა) პარლამენტში ისევ მოიპოვეს უმრავლესობა. ქრისტიან-დემოკრატებს ხმა მისცა ამომრჩევლების, დაახლოებით, 42-მა პროცენტმა.

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643⇓		
1 ევრო	2.2110⇓		
1 ინგლისური გირვანქა	2.5933⇓		
1 თურქული ლირა	0.8622⇓		
100 რუსული რუბლი	5.0433⇓		
თბილისი	31°C - 20°C		
ქუთაისი	33°C - 20°C		
ზუგდიდი	32°C - 21°C		
ბათუმი	27°C - 21°C		
ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA
ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

ახალგაზრდული ნაკრების ევროპული ტატამი

გიგა გურასაშვილი

საქართველოს ძიუდოისტთა ახალგაზრდული ნაკრებისთვის სარაევოში ჩატარებული ევროპის ჩემპიონატი წარმატებული გამოდგა. წარმატება კი ორ ოქროში, ამდენივე ვერცხლში, ერთ ბრინჯაოს მედალსა და 41 ქვეყანას შორის დაკავებულ პირველ ადგილში აისახა.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

მატიაშვილი ვერავინ შეაჩერა

„ოქროს ცხენთევზა„ დაბინავდა

ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალი გამარჯვებულთა დაჯილდოებით დახურეს

ია ვეკუა

დაახლოებით იმ დროს, როდესაც ამერიკის კინოაკადემია პრემია „ემის“ ნომინანტებს ავჯილდოებდა, ბათუმში საავტორო კინოს მერვე ფესტივალის დახურვის ცერემონიალი მიმდინარეობდა, რომლის მსვლელობისასაც ჟიურიმ საერთაშორისო კონკურსების გამარჯვებული ფილმები, მსახიობები და რეჟისორები დააჯილდოა. წელს ნორვეგიის, გერმანიისა და ერაყის კოპროდუქციამ „თოვლის მოსვლამდე“ გაიმარჯვა და „ოქროს ცხენთევზაც“ ამ ფილმის ავტორს ერგო.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

კიდევ 10 ჰექტარის ოკუპაცია

პირველი გვერდიდან

ამის შემდეგ კი მოსავლის აღებას ველარ შეძლებენ.

დვანის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის ზაზა კოპაძის განცხადებით, რუსმა სამხედროებმა მავთულხლართების გაბმა 22 სექტემბერს დილიდან განაახლეს და ე.წ. საზღვარი 600 მეტრით გადმოწიეს.

მოგვიანებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსმა მესაზღვრეებმა ადგილობრივ მოსახლეობას მხოლოდ სიმინდის ყანაში შესვლისა და მოსავლის აღების უფლება მისცეს, ვაშლის ბაღებით სარგებლობაზე კი უარი განუცხადეს. მოსავლის აღება რუსი სამხედროების მეთვალყურეობით მიმდინარეობს.

ადგილზე ე.წ. სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებიც ჩავიდნენ. ე.წ. სამხრეთ ოსეთის ოფიციალური წარმომადგენლის მურმან ჯიოევის განცხადებით, დვანში სადემარკაციო სამუშაოები ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზღვრების ამსახველი რუკის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს.

„აქ ნუ გადმოხვალთ, მიმდინარეობს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის გავლების ჩვეულებრივი სამუშაოები. ჩვენ ვხელმძღვანელობთ სამხრეთ ოსეთის კონსტიტუციით, რომლის თანახმადაც, ეს ხაზი ეკუთვნის ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს. სწორედ ამ ხაზით ვსაზღვრავთ ჩვენს ტერიტორიას. ვაფრთხილებთ ადგილობრივ მოსახლეობას, რომ ეს საზღვარი რაიმე მიზეზით ან პროვოკაციის შედეგად არ დაარღვიონ,“ - განაცხადა მურმან ჯიოევმა.

ე.წ. სამხრეთ ოსეთის სასაზღვრო ადმინისტრაციის უფროს რობერტ გაზაევის განცხადებით კი, **აღნიშნულ ტერიტორიაზე არავითარი მოსავალი არ არსებობს და მიმდებარე ადგილები მხოლოდ ველური ბაღებია.“**

ჩვენ ხელს არავის ვუშლით და ჩვენც ნუ შეგვიშლიან ხელს მუშაობაში, რადგან ჩვენს ტერიტორიაზე ვმუშაობთ. გავავლებთ საზღვარს, რომელიც ჩაკეტილი იქნება და ვერავინ შეძლებს მის გადმოკვეთას. რაც შეეხება მოსავალს, გარშემო მსგავსს ვერაფერს ვხედავ. ეს ველური ბაღებია, რომლებსაც არავინ ამუშავებდა,“ - განაცახდა გაზაევმა.

სოფელ დვანთან მიმდინარე სადემარკაციო სამუშაოებს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები აკვირდებიან და მოსახლეობას მოსავლის მაქსიმალურად სწრაფად აღებისკენ მოუწოდებენ, რათა წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი შესაძლოა, ე.წ. საზღვრის გადაკვეთის ბრალდებით დააკავონ.

ადგილობრივი მოსახლეობა ამბობს, რომ რუსი ოკუპანეტების მიერ გამოყოფილი დრო მოსავლის ასაღებად საკმარისი არ არის და დახმარებას მთავრობისგან ითხოვს. ადგილობრივთა თქმით, იმ შემთხვევაში, თუკი ისინი მოსავალს ვერ აიღებენ, სოფელში ჰუმანიტარული კატასტროფა გარდაუვალი იქნება.

სოფელ დიცის მცხოვრები ილია ბერუაშვილი აცხადებს, რომ რუსმა მესაზღვრეებმა ადგილობრივებისთვის მიცემული პირობა დაარღვიეს და სადემარკაციო სამუშაოები მოსახლეობის მიერ მოსავლის აღებამდე განაახლეს. მისივე ინფორმაციით, დვანში სწორედ ის ბრიგადა მუშაობს, რომელიც რამდენიმე დღის წინ დიცში ავლებდა საზღვარს.

„როგორც გავიგე, მოსავლის ასაღებად ორი დღის ვადა მისცეს, მაგრამ, არ აცალეს და ისევ შევიდნენ. იგივე ბრიგადაა, რაც ჩვენთან იყო, იქაც რობერტ გაზაევი ხელმძღვანელობს,“ - ამბობს ბერუაშვილი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ღრმა შეშფოთებას გამოთქვამს და აღნიშნავს, რომ ქართული და საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან არაერთი განცხადებისა და პროტესტის მიუხედავად, რუსეთის საოკუპაციო ჯარების მიერ მავთულხლართების გავლება და ღობეების მონტაჟი პროცესი კვლავაც გრძელდება. შსს რუსეთის საოკუპაციო ძალების ამ უკანონო ქმედებას მკაცრად გმობს და ყველა მხარეს პროცესის დაუყოვნებლივ შეჩერებისკენ მოუწოდებს.

სოფელ დვანში რუსი სამხედროების მიერ საოკუპაციო ხაზის გადმოწევის საკითხს ქართული დელეგაცია გაერო-ს დებატების ფარგლებში დააყენებს. საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძის განცხადებით, ქართული მხარე ვიზიტის განმავლობაში, როგორც ორმხრივი შეხვედრების ფორმატს, ასევე გაერო-ს ტრიბუნას გამოიყენებს იმისთვის, რომ საერთაშორისო თანამეგობრობას ოკუპირებულ ტერიტორიებთან რუსეთის ქმედებების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მაოდგილე დავით ჯალაღანია მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში ქართულ მხარეს შეუძლია, რუსეთის აგრესიულ ქმედებას მხოლოდ ცივილიზებული, მშვიდობიანი მეთოდები დაუპირისპიროს.

„იმ ფონზე, როდესაც საქართველო მაქსიმალურად ცდილობს, ჩრდილოეულ მეზობელთან დიალოგი კონსტრუქციულ ჭრილში გადაიტანოს, სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ გვიწევს იმის აღნიშვნა, რომ რუსული მხარე ნამდვილად არაკონსტრუქციულობით გამოირჩევა. ეს მწვავე, მტკივნეული საკითხია. სამწუხაროდ, ეს პროცესი ახლა არ დაწყებულა. რუსეთი, სამწუხაროდ, თავის გეგმას ძალზე მიზანმიმართულად აგრძელებს. ეს აქტივობა ხანდახან შეჩერდება, ხანდახან მძაფრდება, თუმცა საოკუპაციო რეჟიმის განწყობა არ იცვლება,“ - აცხადებს მინისტრის მოადგილე და აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში ქართული მხარის ბერკეტი, სამწუხაროდ, მხოლოდ მშვიდობიანი და დიპლომატიური მეთოდებია, **„სამწუხარო იმიტომ არის, რომ ისინი, როგორც წესი, ქმედუნარიანი არ არის და დროში გაწელილია, მეტ ძალისხმევას და მოთმინებას მოითხოვს,“** - დასძენს დავით ჯალაღანია.

მისივე განმარტებით, ტრადიციულად, ქართული მხარე ინტენსიურად იმოქმედებს.

„ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებითაც არის განსაზღვრული ის ვალდებულება, რომ რუსეთმა უკან უნდა დაიხიოს და ოკუპირებული ტერიტორიები დატოვოს. ამდენად, თუ ამ საერთაშორისო ვალდებულებებს ბერკეტებში ჩავთვლით, საქმე ცივილიზებულ ძალასთან უნდა გვქონდეს და ალბათ, უფრო ოპტიმისტები ვიქნებით,“ - აღნიშნა დავით ჯალაღანიამ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში ზურაბ აბაშიძის განცხადებით, მან გრიგორი კარასინთან შეხვედრაზე, საქართველოს მთავრობის სახელით, საოკუპაციო ზოლთან მიმდინარე მოვლენების გამო შეშფოთება გამოთქვა.

აბაშიძის თქმით, ამჯერად ის შეხვედრაზე მეტ-ნაკლებად კმაყოფილი მიდიოდა, მაგრამ წინა დღეებში საოკუპაციო ზოლზე განვითარებული მოვლენები, რა თქმა უნდა, შეხვედრას ძალიან უარყოფით ფონს უქმნიდა. მისი თქმით, ყოველი ასეთი შეხვედრის წინ საოკუპაციო ზოლთან ვითარება განსაკუთრებულად იძაბება.

„მიუხედავად იმისა, რომ ასეთი პრობლემების განხილვა ჩვენს მანდატში არ შედის, ჩვენ ამას გვერდს ვერ ავუვლიდით და საქართველოს მთავრობის სახელით გამოვხატეთ ჩვენი შეშფოთება, მკვეთრად უარყოფითი პოზიცია იმის გამო, რაც საზღვრებთან ხდება“, - აღნიშნა აბაშიძემ.

დვანში საოკუპაციო ხაზის გადმოწევას გამოეხმაურა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი. მისი განმარტებით, ამ პროვოკაციას საქართველოს მთავრობა არ წამოეგება.

„საქართველოს ხელისუფლება არ წამოეგება რუსეთის მხრიდან დაგეგმილ პროვოკაციას, ვინაიდან ეს სხვა არაფერია, გარდა მცდელობა იმისა, რომ ჩაიშალოს რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების ნორმალიზების დაწყებული პროცესი. საოკუპაციო რეჟიმი დიდხანს ვერ გაგრძელდება, რუსეთის საოკუპაციო ჯარებს საქართველოდან გასვლა მოუწევთ,“ - განაცხადა ალექსი პეტრიაშვილმა.

იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადებით, საქართველო არც ევროკავშირის გეგმებზე იტყვის უარს და არც საკუთარ ტერიტორიებს დათმობს.

„თუ მცოცავი ოკუპაცია რუსეთის მხრიდან განიხილება ჩვენზე ზეწოლად, რომ ევროკავშირის გეგმებზე ვთქვათ უარი, ჩვენ ამაზე უარს არ ვიტყვით და არც საკუთარ ტერიტორიებს დავთმობთ,“ - განაცხადა წულუკიანმა.

მისივე განმარტებით, საქართველოს ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო მეგობრების მკვეთრი განცხადებები სჭირდება, რათა რუსეთმა გაიგოს, რომ საქართველო მტკაველი მიწის დაკარგვას არაფრის ფასად არ შეეგუება.

„ბრიუსელში ვიზიტისას მცოცავ საზღვარზე ვისაუბრე როგორც კომისარ ფულესთან, ასევე კომისარ მალმსტრომთან. ევროკავშირი დღეს ცალსახად ამბობს იმას, რაც აქამდე არ უთქვამს, რომ რაც ხდება, მიუღებელია. ჩვენ ევროკავშირისა და სხვა მეგობრების ამგვარი მკვეთრი განცხადებები ძალიან გვჭირდება, რათა რუსეთმა ცალსახად გაიგოს, რომ არაფრის ფასად საქართველო მტკაველი მიწის დაკარგვას არ შეეგუება. ჩვენ მშვიდობიანი გზით, ყველა შიდა თუ საერთაშორისო ბერკეტის გამოყენებით, მათ შორის რუსეთთან დიალოგით, მივაღწევთ იმას, რომ ჩვენი ტერიტორია რაც შეიძლება მალე იყოს დეოკუპირებული,“ - განაცხადა წულუკიანმა.

დვანში სადემარკაციო სამუშაოების განახლებას გამოეხმაურნენ საპარლამენტო უმცირესობაშიც. „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი სერგო რატიანი მიიჩნევს, რომ რუსეთის მხრიდან მცოცავი ოკუპაცია ამჟამინდელი ხელისუფლების ბრალია.

მისი განმარტებით, რუსეთის მიერ საოკუპაციო პოლიტიკის გაგრძელების და საქართველოს ხელისუფლების დათმობითი პოლიტიკის შედეგად სულ უფრო მეტი ტერიტორია იკარგება.

„პრობლემა არის თვითონ პოლიტიკა, რომელიც ხელისუფლებას აქვს. მისი პოლიტიკა არის ის, რომ ჩვენსა და რუსეთს შორის არსებული პრობლემები არ გახდეს პრობლემები დასავლეთისთვის. თუ ჩვენ არ ჩავრთავთ დასავლელ პარტნიორებს და რუსებთან პირისპირ დავრჩებით, ამ პრობლემის მუდმივი ზრდა იქნება. მცოცავი ოკუპაცია გაიზრდება, თუ ჩვენ არ ვიქნებით კიდევ უფრო აქტიურები, თუ ამაში აქტიურად არ ჩაერთვებიან ჩვენი პარტნიორები. მცოცავი ოკუპაცია ამჟამინდელი ხელისუფლების ბრალია,“ - განაცხადა რატიანმა.

„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი გია ბარამიძე ხელისუფლებას მოუწოდებს, ნუ შეეცდება, ხალხი და საერთაშორისო საზოგადოება ოკუპაციის ხაზის გადმოტანას შეაგუონ.

„ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას, ნუ ეცდებიან, შეაგუონ ოკუპაციას ჩვენი ხალხი და ნუ ეცდებიან, ოკუპაციის ხაზის გადმოტანას ჩვენი ხალხი და საერთაშორისო საზოგადოება გაგებით მოეკიდოს,“ - აღნიშნა ბარამიძემ.

დვანში მიმდინარე მოვლენებზე კომენტარი გააკეთეს საპრეზიდენტო კანდიდატებმაც. „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის თქმით, ქართული მხარე ამ პროვოკაციას არ აჰყვება და საერთაშროსიო ორგანზიაციები საქმის კურსში არიან.

„ქართული სახელმწიფო პროვოკაციას არ წამოეგება. ჩვენ ამ მიმართულებით მოქმედების რესურსი გვაქვს, ეს არის ჩვენი თანხმობა საერთაშორისო თანამეგობრობასთან. რუსეთი ევროპაში აშენებდა მავთულხლართებს და აშენებდა კედლებს. მაშინაც ალბათ მიაჩნდათ, რომ ეს სწორი პოლიტიკაა და რომ ამას გარკვეული მომავალი აქვს. მაგრამ ისევე როგორც ბერლინის კედელს, საქართველოს ტერიტორიაზე გავლებულ მავთულხლართებსაც მომავალი ისტორიულად არა აქვს,“ - განაცხადა მარგველაშვილმა.

ნინო ბურჯანაძე დვანში განვითარებულ მოვლენებს ხელისუფლების უსუსურობას აბრალებს და მას მეტი აქტიურობისკენ მოუწოდებს.

„როდესაც ვხედავ, რომ ყოველწუთიერად ქვეყნის საზღვარი იცვლება და იმისთვის, რომ ეს არ გაგრძელდეს, მთავრობისგან გადადგმულ ვერც ერთ ნაბიჯს ვერ ვხედავ, მიჩნდება განცდა, რომ ქვეყანას დღეს ხელისუფლება საერთოდ არ ჰყავს,“ - ამბობს ბურჯანაძე.

საპრეზიდენტო კანდიდატი შალვა ნათელაშვილი კი დვანში თავად ჩავიდა. ნათელაშვილის ინფორმაციით, მან რუს სამხედროებს განუმარტა, რომ მათი ქმედებები უკანონოა და ადგილობირივ მოსახლეობის უფლებებს უხეშად არღვევენ.

„შევხვდი სასაზღვრო ნაწილის ხელმძღვანელობას და ვთხოვე, რუსეთში თავისი სარდლობისთვის და პოლიტიკური ლიდერებისთვის გადაეცა ჩვენი თხოვნა, რომ ეს უაზრობა შეაჩერონ. შეუძლებელია ხალხების გაყოფა კედლით. მე ვაპირებ, გაპრეზიდენტების ჩავიდე მოსკოვში შემდეგ და რუსეთის ხელმძღვანელობას შევთავაზო მსხვილმასშტაბიანი წინადადებები ძალიან, რათა ეს პრობლემები ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდეს,“ - განაცხადა ნათელაშვილმა.

დვანში საოკუპაციო ხაზის გადმოტანას «საქართველოს რეფორმების ასოციაციის» თანადამფუძნებელი ელენე ხოშტარია გამოეხმაურა. მისი თქმით, თუ ჩვენ რუსულ-ქართულ ურთიერთობებში პროგრესის არსებობაზე ვისაუბრებთ, წინ ვერ წავალთ.

ხოშტარია მიიჩნევს, რომ შექმნილი ვითარებიდან კონკრეტული გამოსავალი სიტუაციის სწორი შეფასება და საერთაშორისო რეაქციის მობილიზებაა.

„თუ ჩვენ სიტუაციას სწორად არ შევაფასებთ და ვისაუბრებთ იმაზე, რომ რუსულ-ქართულ ურთიერთობებში პროგრესია, წინ ვერ წავალთ. სწორი შეფასების პირობებში კი შესაძლებელია საერთაშორისო ზეწოლის მობილიზება, რაც ყოველთვის მოქმედებს რუსეთზე. ამავდროულად, საერთაშორისო რეაქციის მობილიზებისთვის აუცილებელია ალარმიზაცია - ჩვენ მხოლოდ ქართული ტელევიზიების ეთერში კი არ უნდა ვთქვათ, რომ ეს ცუდია, უნდა გამოვიყენოთ ყველა საერთაშორისო ბერკეტი - გაერო-ში, ევროკავშირში, ნატო-ში, ევროსაბჭოში. ეს უნდა იყოს დიდი დიპლომატიური ბლიც ძალისხმევა, რათა ყველას გავაგებინოთ, რომ რუსეთი, ჩვენი მხრიდან ურთიერთობების დარეგულირების მცდელობის მიუხედავად, აგრძელებს აგრესიულ საოკუპაციო პოლიტიკას და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების დარღვევას,“ - განაცხადა ხოშტარიამ „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში.

მისივე თქმით, ამ ორი პირობის შესრულების შემთხვევაში შეუძლებელი იქნება, რუსეთზე ზეწოლა არ განხორციელდეს, რასაც შედეგი ყოველთვის მოაქვს.

ამასთან, ელენე ხოშტარიას თქმით, ქართული მხარე აღნიშნულ პრობლემას სათანადოდ არ ახმოვანებს.

„დღეს იმაზე საუბარი, რომ გამოსავალი არ არის, მაშინ როდესაც ამ პრობლემას ჩვენ თვითონ არ ვახმოვანებთ სათანადოდ, ძალიან არასწორია. ამ საკითხის გარშემო პოლიტიკურ სპექტრში სრული კონსოლიდაცია უნდა იყოს. მთავრობის მხრიდან იმაზე საუბარი, რომ ეს პრობლემა სააკაშვილის დანატოვარია, არასწორია, რადგან ვხედავთ, რომ რუსეთის პოლიტიკა ნებისმიერი მთავრობის პირობებში იგივე რჩება. იმავეს ვიტყვი „ნაციონალურ მოძრაობაზე“. იმის თქმა, რომ რაც ხდება, მხოლოდ მთავრობის ბრალია, არასწორია. ორივე პარტიამ ვიწრო ინტერესები გვერდზე უნდა გადადოს, რადგან ძალისხმევის კონსოლიდაციაა საჭირო,“ - აღნიშნა ხოშტარიამ.

იგი დასძენს, რომ პროცესში კონკრეტული საერთაშორისო მექანიზმების ჩართვას დიდი ძალისხმევა არ სჭირდება და ქართული დიპლომატიური კორპუსის აქტიურობის შემთხვევაში რეაგირება მოკლე ვადებშია შესაძლებელი.

„ძალიან მოკლე ვადაა საჭირო, რომ საგანგებო სხდომა მოითხოვო ნატო-ში და ახსნა იმით, რომ რუსეთისგან საფრთხე მოდის. ძალიან მოკლე ვადა უნდა იმას, რომ შენს დიპლომატიურ კორპუსს ყველა ქვეყანაში სპეციალური განცხადებების გაკეთება დაავალო და დასავლეთისგან განსაკუთრებული ზომები მოითხოვო. განსაკუთრებული ვადები არ სჭირდება გაერო-ში, ჟენევაში, ეუთო-ში სპეციალური მექანიზმების ამუშავებას, რაც მთლიანობაში რუსეთზე ზეწოლას მოიტანს. ამ შემთხვევაში რაღაც ზოგადზე არ ვსაუბრობ, ეს ძალიან კონკრეტული მექანიზმებია,“ - განაცხადა ელენე ხოშტარიამ.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

მოსახლეობის 72 პროცენტი ივანიშვილის წასვლას მხარს არ უჭერს

პირველი გვერდიდან

კვლევა 18 აგვისტოდან 3 სექტემბრამდე პერიოდში ჩატარდა. საქართველოს მასშტაბით ქართულენოვან მოსახლეობას შორის პირისპირ ინტერვიუს საშუალებით წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე 3.838 რესპონდენტი გამოიკითხა. NDI-ს კვლევას, რომელსაც კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი ატარებს, შვედეთის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სააგენტო აფინანსებს.

ეროვნული საკითხებისადმი დამოკიდებულებით მოსახლეობაში NDI-ს ბოლოდროინდელ კვლევებში ძირითადი ხაზი უცვლელია. ყველაზე მნიშვნელოვან ეროვნულ საკითხად 63 პროცენტით ისევ სამუშაო ადგილების შექმნაა მიჩნეული. 35 პროცენტით მოსახლეობაში ყველაზე პრობლემურ საკითხად ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა რჩება. მესამე პოზიციას, 29 პროცენტით, ხელმისაწვდომი ჯანდაცვა იკავებს, რასაც სიღარიბის (27 პროცენტი) და პენსიების (24 პროცენტი) პრობლემები მოსდევს.

გამოკითხულთა 69 პროცენტი მიიჩნევს, რომ სამუშაო ადგილების შექმნის თვალსაზრისით, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოში ვითარება არ შეცვლილა. მოსახლეობის 20 პროცენტის აზრით კი, მდგომარეობა გაუარესებულია.

კვლევის თანახმად, მოსახლეობის 35 პროცენტი აღნიშნავს, რომ დასაქმებულია, 65 პროცენტი კი თავს დაუსაქმებლად მიიჩნევს.

მოსახლეობის 82 პროცენტი კი აცხადებს, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კუთხით ცვლილებები არ არის. ასევე, 73 პროცენტი ცვლილებას ვერ ხედავს სიღარიბის დაძლევის მიმართულებით.

ეროვნული მნიშვნელობის საკითხებში მოსახლეობა დადებით ტენდენციებს სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების კუთხით ხედავს. გამოკითხულთა 39 პროცენტი მიიჩნევს, რომ მდგომარეობა გაუმჯობესდა. 49 პროცენტი კი პენსიების ზრდის მაჩვენებელს დადებითად აფასებს.

კითხვაზე, როგორი მიმართულებით ვითარდება საქართველო? გამოკითხულთა 3 პროცენტი პასუხობს, რომ ქვეყანა ნამდვილად სწორი მიმართულებით ვითარდება; 36 პროცენტის აზრით, საქართველო, ძირითადად, სწორი მიმართულებით ვითარდება; ასევე 36 პროცენტი აღნიშნავს, რომ საქართველო საერთოდ არ იცვლება; 13 პროცენტის აზრით, საქართველო, ძირითადად, არასწორი მიმართულებით ვითარდება; 3 პროცენტი კი ამბობს, რომ საქართველო ნამდვილად არასწორი მიმართულებით ვითარდება. აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხი მოსახლეობის 8 პროცენტმა არ იცის, 1 პროცენტი კი პასუხის გაცემაზე უარს ამბობს.

ზოგადად, მოქმედი ხელისუფლების მიერ გაწეულ სამუშაოს მოსახლეობა დადებითად აფასებს. ივნისის შედეგებთან შედარებით გაიზარდა იმ პირთა რაოდენობა, ვინც მიიჩნევს, რომ ხელისუფლება მისთვის მნიშვნელოვან ცვლილებებს ახორციელებს. ამ მოსაზრებას საქართველოს მასშტაბით, სრულად ან ნაწილობრივ, გამოკითხულთა 64 პროცენტი იზიარებს.

გამოკითხულთა 26 პროცენტი ეთანხმება მოსაზრებას, რომ თუ ხელისუფლებაში საპარლამენტო უმცირესობა იქნებოდა, მისთვის მნიშვნელოვან ცვლილებებს განახორციელებდა.

კვლევის დროს დასმულ კითხვას, რომელიც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებს ეხება, ეროვნული მასშტაბით გამოკითხულთა 74 პროცენტი პასუხობს, რომ ყველაფრის გათვალისწინებით, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მისი და მისი ოჯახის მდგომარეობა არ შეცვლილა. მოსახლეობის 11 პროცენტის აზრით - გაუმჯობესდა, ხოლო 14 პროცენტი მიიჩნევს, რომ გაუარესდა.

ყველაზე მნიშვნელოვან ადგილობრივ საკითხად თბილისში კომუნალური მომსახურება (80 პროცენტი) და ტრანსპორტი (60 პროცენტი) რჩება. სოფლებში მცხოვრებთა 45 პროცენტი მთავარ პრობლემატურ საკითხად მოუწესრიგებელ გზებს მიიჩნევს. 38 პროცენტი - გაზმომარაგებას ასახელებს.

კითხვარში აგრეთვე ასახულია მოსახლეობის აზრი ქვეყანაში კრიმინალური მდგომარეობის შესახებ. ლუის ნავაროს განმარტებით, კვლევაში მხოლოდ საზოგადოების განწყობაა მოცემული და არა სტატისტიკური მონაცემები. კვლევის თანახმად, მოსახლეობის 31 პროცენტი მიიჩნევს, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოში კრიმინალის დონე გაიზარდა. 45 პროცენტის აზრით, კრიმინალური ვითარება უცვლელია, 11 პროცენტი კი აღნიშნავს, რომ ქვეყანაში კრიმინალის რაოდენობა შემცირდა. გამოკითხულთა 13 პროცენტმა ამ კითხვაზე პასუხი არ იცის.

სამ პრიორიტეტულ სფეროდ, რომლებიც რეფორმირებას საჭიროებს, კვლავ ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა და განათლება რჩება. თუმცა, ლუის ნავარო აღნიშნავს, რომ მართალია, მოსახლეობაში რეფორმების სურვილი უცვლელია, თუმცა მომდევნო 6 თვეში მათ განხორციელებას, წინა კვლევებთან შედარებით, უფრო ნაკლები ადამიანი მოელის.

ივნისში ჩატარებული კვლევის შემდეგ 6 პროცენტით გაიზარდა და 44 პროცენტი გახდა იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ საქართველოში ამჟამად დემოკრატიაა. ზუსტად ამდენივე აღნიშნავს, რომ ქვეყანაში დემოკრატია არ არის. დასახლებების ტიპების მიხედვით განსხვავებული ვითარებაა. თბილისში გამოკითხულთა მხოლოდ 32 პროცენტი მიიჩნევს, რომ საქართველოში დემოკრატიაა, მაშინ როდესაც კითხვას დადებითად პასუხობს სოფლის მოსახლეობის 54 პროცენტი, ასეთივე მაჩვენებელია დასავლეთ საქართველოში. აღმოსავლეთ საქართველოში კი გამოკითხულთა 41 პროცენტი პასუხობს, რომ საქართველოში დემოკრატიაა.

კითხვაზე, რას ნიშნავს თქვენთვის დემოკრატია, გამოკითხულთა 54 პროცენტი პასუხობს, რომ დემოკრატია სიტყვის თავისუფლება და განსხვავებული აზრის მოსმენაა; 37 პროცენტის აზრით, დემოკრატია კანონის წინაშე თანასწორობა და სამართლიანობის დაცვაა; 36 პროცენტი ადამიანის უფლებების დაცვას ასახელებს; 21 პროცენტი - სამუშაო ადგილებს; 18 პროცენტის აზრით, დემოკრატია არის შესაძლებლობა, აკეთო ის, რაც გინდა; 12 პროცენტისთვის კი დემოკრატია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებია.

საქართველოში უმცირესობების უფლებების დაცვის საკითხს ცალკე კითხვარი ეთმობა. მოსახლეობის 6 პროცენტის აზრით, უმცირესობების უფლებების დაცვა საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ან მნიშვნელოვანია. თუმცა, როდესაც საქმე კონკრეტულ ჯგუფებს ეხება, კვლევა განსხვავებულ სურათს იძლევა.

რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვა ძალიან მნიშვნელოვან ან მნიშვნელოვან საკითხად მიაჩნია მოსახლეობის 56 პროცენტს; ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვას ძალიან მნიშვნელოვან ან მნიშვნელოვან საკითხად 62 პროცენტი ასახელებს; სექსუალური უმცირესობების დაცვა კი მნიშვნელოვანია მხოლოდ 15 პროცენტისთვის; უმცირესობების უფლებების დაცვა უმნიშვნელო ან სრულიად უმნიშვნელოა 58 პროცენტისთვის.

საგარეო ურთიერთობები

კვლევის მიხედვით, საქართველოს საგარეო ორიენტაციის შესახებ მოსახლეობის აზრი უცვლელია. მოსახლეობის 81 პროცენტი ევროკავშირში გაწევრიანებას მხარს უჭერს; რესპონდენტთა 73 პროცენტი ნატო-ში გაწევრიანების შესახებ საქართველოს მთავრობის გაცხადებულ მიზანს ემხრობა.

მოსახლეობის სურვილი მოლოდინს ამჯერადაც არ ემთხვევა. კითხვას, როდის გახდება საქართველო ნატო-ს წევრი, მოსახლეობის 12 პროცენტი პასუხობს, რომ მომდევნო 4 წლის განმავლობაში; 26 პროცენტი იმედს გამოთქვამს, რომ საქართველო ნატო-ში 2016 წლის შემდეგ გაწევრიანდება; 18 პროცენტი აღნიშნავს, რომ ეს არასდროს მოხდება; 44 პროცენტს კი აღნიშნულ კითხვაზე პასუხი არ აქვს.

რაც შეეხება რუსეთის მიმართ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებას, 36 პროცენტის აზრით, რუსეთი საქართველოსთვის საფრთხეს წარმოადგენს, მაგრამ ეს საფრთხე გაზვიადებულია. 33 პროცენტი მიიჩნევს, რომ რუსეთი საქართველოსთვის რეალურ და არსებულ საფრთხეს წარმოადგენს; 25 პროცენტი აღნიშნავს, რომ რუსეთი საქართველოსთვის არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს; 5-მა პროცენტმა აღნიშნულ კითხვაზე პასუხი არ იცის; 1 პროცენტი კი გამოკითხვაში მონაწილეობაზე უარს ამბობს.

გამოკითხულთა 70 პროცენტი რუსეთთან საქართველოს ამჟამინდელი ურთიერთობით უკმაყოფილოა. 89 პროცენტი მიიჩნევს, რომ რუსეთთან ქართული ღვინის, წყლისა და ხილის რუსეთის ბაზარზე დაბრუნების შესახებ მიმდინარე მოლაპარაკებები მისასალმებელია. გამოკითხულთა 76 პროცენტი სოჭის ოლიმპიადაში საქართველოს მონაწილეობას მხარს უჭერს. 75 პროცენტი რუსეთთან ოკუპირებული აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის მომხრეა.

ივანიშვილის წასვლა

NDI-ს კვლევაში ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო საკითხი პოლიტიკიდან წასვლის შესახებ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულებაა. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პრემიერის თანამდებობიდან მალევე წასვლის შესახებ ივანიშვილის განცხადებას მოსახლეობის 71 პროცენტი ნეგატიურად აფასებს; 18 პროცენტი ივანიშვილის გადაწყვეტილებას დადებითად ხვდება; 11 პროცენტი კი პასუხობს: „არ ვიცი.“

ხმაური უწყებათშორისი კომისიის სხდომაზე

პირველი გვერდიდან

„თინათინ ბოკუჩავამ პრეზენტაცია წარმოადგინა, სადაც ასახული იყო იმ წერილებში მოცემული ინფორმაცია, რომლებიც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ უწყებათშორის კომისიას მიაწოდა. სულ 29 წერილი მივიღეთ, რომლებიც დროულად შევისწავლეთ. რიგ შემთხვევებში პრევენციული ნაბიჯები გავდგით, მათ შორის ხონში დავით ბაქრაძის ვიზიტის წინ. რამდენიმე საქმეზე კი გამოძიება დაიწყო. გაუგებარია, რატომ არ სურდათ პოლიტიკურ პარტიებს ამ ინფორმაციის მეორედ თუ მესამედ მოსმენა. სხდომაზე პატარა ინციდენტი იყო, თუმცა ჩემი ჩარევის შემდეგ, რა თქმა უნდა, თინა ბოკუჩავას პრეზენტაციის დასრულების საშუალება მიეცა,“ - აღნიშნავს წულუკიანი.

პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტსაბჭოს თავმჯდომარემ ირინა იმერლიშვილმა სხდომის შემდეგ ჟურნალისტებს უთხრა, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კიდევ ერთხელ წამოჭრა საკითხი, რომელიც აქამდეც არაერთხელ დააყენა და მათზე კომისიამ უკვე იმსჯელა. **„ჩვენ „ნაციონალურ მოძრაობას“ კიდევ ერთხელ მოვუსმინეთ,“** - აღნიშნავს იმერლიშვილი.

რაც შეეხება კომისიის სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებას, კომისია ადგილობრივ თვითმმართველობებს კიდევ ერთხელ მოუწოდებს, წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობისგან თავი შეიკავონ. თეა წულუკიანის თქმით, უწყებათშორისმა კომისიამ რეკომენდაცია მათთვის გასცა, ვინც ერთხელ ნათქვამი ვერ გაიგო. **„ეს იმ რაიონებს ეხება, სადაც, მიუხედავად რეკომენდაციისა, საკადრო გადაადგილებები და იმპიჩმენტის პროცედურები გრძელდება. ზოგიერთ რაიონში ურთიერთობების გარჩევა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს შორის მიმდინარეობს და „ნაციონალურ მოძრაობას“ დახმარება ვთხოვე, რომ ეს პროცესი შეაჩეროს,“** - ამბობს თეა წულუკიანი.

საკუთარი ინფორმაცია

კომპანია „სმაილი“ და „ბანკი რესპუბლიკა“ მომხმარებელს ერთობლივ აქციას სთავაზობენ

უპროცენტო განვადება უპრეცედენტო პირობებით

მაღაზიათა ქსელი „სმაილი“ და «ბანკი რესპუბლიკა“ საზოგადოებას განვადების ახალ აქციას სთავაზობენ. მომხმარებლებს შესაძლებლობა აქვთ, ისარგებლონ 0%-იანი განვადების განსხვავებული პირობებით. კერძოდ, სასურველი ნებისმიერი საოჯახო ტექნიკა ისე შეიძინონ, რომ ნივთის ღირებულების გარდა, ზედმეტი თანხა არ გადაიხადონ.

პირობები მარტივია: განვადება - 0%, ბანკის საკომისიო - 0%, წინასწარი შესატანი - 0%.

აღნიშნული აქცია ტექნიკის ბაზარზე უპრეცედენტოა და ექსკლუზიურად მხოლოდ «სმაილის“ მაღაზიათა ქსელში SAMSUNG-ის ნებისმიერ ტექნიკაზე ვრცელდება. (კონდიციონერებზე, ნოუთბუქებზე და ნეთბუქებზე, მიკროტალღურ ღუმელებზე, მაცივრებზე, მტვერსასრუტებზე, ტელევიზორებზე, სარეცხ მანქანებზე, დივიდი ფლეერებზე, ფოტოაპარატებზე, სახლის კინოთეატრებზე, მობილურ ტელეფონებზე.)

კომპანია «სმაილი“ და «ბანკი რესპუბლიკა“ მომხმარებელს ნოვატორულ აქციებს 2013 წლის დასაწყისშიც სთავაზობდნენ. კომპანიებმა საზოგადოებას - 2 წლიანი, მოგვიანებით კი 3 წლიანი, 0%-იანი განვადება პირველებმა შესთავაზეს.

«სმაილის“ მარკეტინგის წარმომადგენელ ხათუნა ნოზაძის თქმით, „სმაილმა“ საზოგადოების ფინანსური მდგომარეობა ამჯერადაც გაითვალისწინა და ბაზარზე ინოვაციური პროექტით გამოვიდა: «ნებისმიერი შემოსავლის მქონე ადამიანს შესაძლებლობა აქვს, შეიძინოს ნებისმიერი ნივთი, მათ შორის ძვირადღირებული ტექნიკაც, რომელიც აქამდე მისთვის მხოლოდ ოცნების საგანს წარმოადგენდა. ნივთის ღირებულება სასურველ პერიოდზე თანაბრად გადაანაწილოს, ისე რომ ზედმეტად არც ერთი თეთრის გადახდა არ მოუწევს,“ - აცხადებს ხათუნა ნოზაძე.

«მოხარულები ვართ, რომ მომხმარებლებისთვის ასეთი მოსახერხებელი და უნიკალური პირობების შეთავაზება შევძელით. ეს საქართველოში პირველად ხდება და დარწმუნებულები ვართ, რომ აქცია ბევრს გაახარებს!“ - აცხადებს აცხადებს «ბანკ რესპუბლიკის“ წარმომადგენელი ნათია ფრანგულაშვილი.

მომხმარებელი «სამსუნგის“ ფირმის სასურველი ნივთის 0%-იანი განვადებით შეძენას მხოლოდ პირადობის მოწმობის წარდგენით შეძლებს, ყოველგვარი პირველადი შესატანის და დამტკიცების საკომისიოს გადახდის გარეშე.

კომპანიებში აცხადებენ, რომ აქცია გავრცელდება „სმაილის“ ქსელში თბილისსა და შემდეგ რეგიონებში: თელავში, რუსთავსა და ბათუმში, ჭავჭავაძის #31-ში მდებარე ფილიალში.

დემირელის კოლეჯი

აგრძელებს მოსწავლეთა მიღებას

I-XII კლასებში და ხსნის

I კლასისთვის მოსამზადებელ ჯგუფს

4-5 წლის ბავშვებისათვის.

ტრადიციულად, დემირელის კურსდამთავრებულებმა წელსაც ისახელეს თავი და ჩაირიცხნენ აშშ-ს, თურქეთის და საქართველოს პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში.

ათმა მოსწავლემ მოიპოვა 100% -იანი გრანტი, ოთხმა მოსწავლემ 70%-იანი გრანტი, შვიდმა მოსწავლემ 50%-იანი გრანტი.

მისამართი: ორთაჭალა გრიშაშვილის N 51

ტ: 2 75 24 58

თომას ჰამერბერგი: გამოძიება არ უნდა იყოს პოლიტიზებული

კონსტიტუციური და სამართლებრივი რეფორმებისა და ადამიანის უფლებების საკითხებში ევროკავშირის სპეციალურმა მრჩეველმა თომას ჰამერბერგმა საქართველოში არსებული ვითარების შესახებ მომზადებული 40-გვერდიანი ანგარიში წარმოადგინა. ჰამერბერგმა საქართველოს ხელისუფლებას ორი გზავნილით მიმართა.

ჰამერბერგი ამბობს, რომ პროკურატურაში ათასობით ადამიანი ჩივის, რომლებიც შესაძლოა, თავიანთ განცხადებებს ფაქტებით ვერ ამყარებდნენ, მაგრამ, ჰამერბერგის აზრით, განცხადებების შესწავლა მაინც საჭიროა.

ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ყოფილი მაღალჩინსონების დაპატიმრებების თემაზე კითხვები არსებობს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. ჰამერბერგის თქმით, მნიშვნელოვანია, რომ ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ გამოძიება პოლიტიზებული არ იყოს.

„ამ მოხსენებაში ორი ძირითადი გზავნილი მაქვს - ერთი გახლავთ ის, რომ ახლო წარსული შევცვალოთ და ეს ადამიანის უფლებების სრული დაცვით გავაკეთოთ. ათასობით საჩივარია შესული როგორც პროკურატურაში, ისე ომბუდსმენის ოფისში. თითოეული ეს საჩივარი დეტალურ შესწავლას მოითხოვს. ისინი, ვინც ჩივიან, შესაძლოა, საკუთარ განცხადებას ფაქტებით ვერ ამყარებდნენ, მაგრამ აუცილებელია, თითოეულ მათგანს პასუხი გაეცეს. ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ გამოძიება პოლიტიზებული არ იყოს. ამის შესახებ არსებობს შეკითხვები არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ ქვეყნის ფარგლებს გარეთაც და მნიშვნელოვანია ეს თავიდან ავიცილოთ და ამ პროცესის პოლიტიზება არ მოხდეს. ეს არის ჩემგან პირველი ცალსახა გზავნილი,“ - განაცხადა თომას ჰამერბერგმა.

მისივე შეფასებით, გამოძიება სამართლიანობის პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს და ნებისმიერი განცხადება, რომელმაც შესაძლოა, უდანაშაულობის პრეზუმფცია დაარღვიოს, მიუღებელია.

„აქედან გამომდინარე, ნებისმიერი განცხადება, რომელმაც შეიძლება, უდანაშაულობის პრეზუმფცია დაარღვიოს, არ არის მისაღები. არავინ არის დამნაშავე მანამ, სანამ მისი დანაშაული არ დადასტურდება. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, გამოძიების პროცესი შესაბამისი პროცედურების დაცვით წარიმართოს,“ - აღნიშნა ჰამერბერგმა.

რაც შეეხება მეორე გზავნილს, ჰამერბერგის აზრით, დროა, ქართულმა საზოგადოებამ წარსულში ყურებას თავი დაანებოს და მომავალზე დაიწყოს ფიქრი.

„ძალზედ მნიშვნელოვანია, საზოგადოებამ მარტო წარსულში აღარ იყუროს და მომავალზე დაიწყოს ფიქრი. ამდენად, ვფიქრობ, დადგა დრო, დავხუროთ წარსულის ეს გვერდი და მოვემზადოთ მომავლისკენ შემდგომი ნაბიჯების გადასადგმელად, ეს არის მეორე ძირითადი გზავნილი,“ - აღნიშნა თომას ჰამერბერგმა.

ამასთან, ადამიანის უფლებების საკითხებში ევროკავშირის სპეციალურმა მრჩეველმა 17 მაისის მოვლენები შეაფასა და აღნიშნა, რომ უმცირესობების მიმართ 17 მაისის აქციასა და შემდგომ განვითარებულ მოვლენებზე სამართლებრივი რეაქცია არასაკმარისი იყო. მისი თქმით, თითოეულმა ქვეყანამ, რომელიც საკუთარ თავს პატივს სცემს და დემოკრატიულობზე პრეტენზია აქვს, ეს საკითხი უნდა მოაგვაროს.

„რაც მოხდა, აბსოლუტურად მიუღებელია, ამაზე კი, ვფიქრობ, მთავრობას არასაკმარისი რეაქცია ჰქონდა, სამართლებრივი რეაქცია არ იყო საკმარისი. დისკუსიები იმართებოდა იმის შესახებ, დაეკისრათ თუ არა შესაბამის პირებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. გამოძიება თითქოს ჯერ კიდევ მიმდინარეობს, მაგრამ ვფიქრობ, არსებობს რისკი, რომ ეს ყველაფერი აღქმული იქნეს ხალხის მიმართ შემდეგ გზავნილად - თითქოს ეს არ იყო სერიოზული საკითხი. ამ დროს ეს მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი ინციდენტი იყო. ადამიანები სერიოზული საფრთხის ქვეშ იმყოფებოდნენ. ისინი პოლიციამ გადაარჩინა, როცა მათი ევაკუაცია მოახდინა და მიკროავტობუსებში ჩასვა. თითოეულმა ქვეყანამ, რომელიც პატივს სცემს საკუთარ თავს და დემოკრატიულობაზე აქვს პრეტენზია, ეს საკითხი უნდა გადაჭრას,“ - აღნიშნა თომას ჰამერბერგმა.

მისივე განმარტებით, აუცილებელია ცხარე დისკუსიები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გავუმკლავდეთ საზოგადოებაში არსებულ ღრმა სტერეოტიპებს.

„ჩანს, ჰომოფობია იმდენად ფართოდაა გავრცელებული, რომ უბრალოდ ვერავის ეტყვი - „სხვანაირად მოიქეციო“. ბევრ ადამიანს მართლაც გულით და სულით სჯერა, რომ რასაც აკეთებს, სწორია, მაგრამ ჰომოფობია ადამიანის უფლებების დარღვევის გამოვლინებაა, ამიტომაც პოლიტიკოსებმა ნათლად უნდა განაცხადონ, რომ ეს გამყოფი ხაზია, რომლის გადასვლა არ შეიძლება. ამ ყველაფერში დიდი როლი აკისრია ეკლესიას. ეკლესიასა და საზოგადოებას შორის დიალოგი აუცილებელია,“ - აღნიშნა თომას ჰამერბერგმა.

გარდა ამისა, ევროკავშირის სპეციალურმა მრჩეველმა საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების შემდგომი განვითარების აუცილებლობაზე ისაუბრა. მისი თქმით, სხვა ინსტიტუტებთან ერთად, აუცილებელია სახალხო დამცველის ინსტიტუტის გაძლიერება.

„აუცილებელია დემოკრატიული ინსტიტუტების შემდგომი განვითარება. სპონტანური ღონისძიებები და კრიზისზე რეაგირება მტკიცედ დამკვიდრებულმა და შეთანხმებულმა პროცედურებმა და უკეთესმა თუ ახალმა ინსტიტუტებმა უნდა ჩაანაცვლონ. ასევე მნიშვნელოვანია სახალხო დამცველის ინსტიტუტის გაძლიერება - ის ქვეყანაში უკვე არაერთი წელია, ფუნქციონირებს და ეს აპარატი ადამიანის უფლებების პოპულარიზებისა და დაცვის სფეროში ძალიან მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს. ვფიქრობ, მისი მხარდაჭერა უნდა გაგრძელდეს, - განაცხადა ჰამერბერგმა.

ამასთან, ჰამერბერგი უკიდურესად შემაშფოთებელს უწოდებს ბოლო დროს ისლამოფობიურ და ჰომოფობიურ აქტებს და ამბობს, რომ რელიგიის თავისუფლების დასაცავად შემდგომი ინსტიტუციური და სამართლებრივი რეფორმები აუცილებელია:

„თავიდან უნდა იქნას აცილებული უმცირესობის საკითხის განხილვა მხოლოდ უსაფრთხოების კონტექსტში. ბოლოდროინდელი ისლამოფობიური და ჰომოფობიური აქტები უკიდურესად შემაშფოთებელია.“

გარდა ამისა, ჰამერბერგმა დადებითად შეაფასა მთავრობის გადაწყვეტილება მონაცემთა დაცვის ინსპექტორის თანამდებობის შემოღების შესახებ.

„ეს ბრწყინვალე გადაწყვეტილებაა, ეს აუცილებელია, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ეს უწყება მთავრობამ შექმნა, ინსპექტორის აპარატმა სრულიად დამოუკიდებლად უნდა იმოქმედოს და საკუთარი როლისა და სტრუქტურის შემდგომი დახვეწა შეძლოს,“ - აღნიშნა ჰამერბერგმა.

კონსტიტუციური და სამართლებრივი რეფორმებისა და ადამიანის უფლებების საკითხებში ევროკავშირის სპეციალური მრჩეველი მიიჩნევს, რომ საქართველოში უნდა გაგრძელდეს მართლმსაჯულების რეფორმა და გათვალისწინებული უნდა იყოს მიღებული გამოცდილება, მათ შორის ხელი უნდა შეეწყოს თითოეული მოსამართლის მიერ საკუთარი პასუხისმგებლობის ამაღლებას.

„სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მოსამართლეთა, ასევე პროკურორთა და ადვოკატთა კომპეტენციის და კეთილსინდისიერების უზრუნველყოფა,“ - ამბობს ჰამერბერგი.

მისივე განმარტებით, პოლიციისა და პროკურორების წინააღმდეგ საჩივრების განხილვას, მათზე რეაგირებას, პროფესიული, სანდო, დამოუკიდებელი მექანიზმის შემუშვება დასჭირდება: **„ის პოლიციასა და პროკურატურაში არსებული რეალობის, ცოდნის საფუძველზე უნდა შეიქმნას, მაგრამ ამ სტრუქტურებიდან დამოუკიდებელი უნდა იყოს და საზოგადოების მიუკერძოებელი წარმომადგენლის როლს უნდა ასრულებდეს, ომბუდსმენის მსგავსად. ამავე კონტექსტში შეიძლება იქნეს განხილული დაკავებულთა, პატიმართა მიერ საპატიმროებში არსებული პირობების შესახებ ან ბადრაგისა თუ სხვა თანამშრომლის წინააღმდეგ შეტანილი საჩივრების განხილვის პროცედურა.“** -

ამასთან, ადამიანის უფლებების საკითხებში ევროკავშირის სპეციალური მრჩეველი დადებითად აფასებს შრომის ახალი კოდექსის მიღებას.

„შრომის ახალი კოდექსის მიღება დადებითი მოვლენა იყო. ეს კანონი ახლა უკვე ახალმა ინსტიტუტებმა საწარმოო დავებისა და მოლაპარაკების კულტურის დასამკვიდრებლად უნდა გამოიყენონ. კვლავ უნდა გააქტიურდეს სამმხრივი კომისია და შეიქმნას მედიაციის ცენტრი, რომელიც საწარმოო დავების შემთხვევაში გადაწყვეტილებების მიღებას გააადვილებს,“ - ნათქვამია ანგარიშში.

გარდა ამისა, საქართველოში არსებული სიტუაციის შესახებ თომას ჰამერბერგის მიერ მომზადებულ ანგარიშში საარჩევნო დარღვევების შესახებ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრთა განცხადებები და მათ მიერ მოპოვებული ფაქტებიც მოხვდა.

ჰამერბერგის თქმით, მისი რეკომენდაციაა, რომ ეს საკითხი სერიოზულად იყოს განხილული.

„საარჩევნო კამპანიას თვალყურს ნაკლებად ვადევნებ, თუმცა ანგარიშში ამ თემას გარკვეული დრო ეთმობა და საუბარია იმაზე, რომ გარკვეულ დაშინებებს ჰქონდა ადგილი, როცა კანდიდატებს კამპანიის ჩატარებაში ხელი ეშლებოდათ. დაფიქსირებულია ისიც, რომ ადგილი ჰქონდა დაკავებებს და „ნაციონალური მოძრაობა“ ჩივის, რომ საარჩევნო კამპანიის ჩატარების საშუალება არ ეძლევათ. მათი თქმით, ასეთი ღონისძიებების პრევენციისთვის 100-ლარიანი სასჯელი საკმარისი არ არის. მაქვს რეკომენდაცია და მიმაჩნია, რომ ამ პრობლემის სერიოზულად განხილვა აუცილებელია, - აღნიშნა თომას ჰამერბერგმა.

მისივე შეფასებით, ასეთი ვითარება განსაკუთრებით დაუშვებელია საარჩევნო პერიოდში, მაშინ როდესაც აზრის გამოხატვის თავისუფლება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

„ეს პრობლემა ნახსენებია ჩვენს მოხსენებაში და ვფიქრობ, დაცული იქნება თითოეული კანდიდატის უფლება, აწარმოოს საარჩევნო კამპანია,“ - ამბობს თომას ჰამერბერგი.

თომას ჰამერბერგის ანგარიში დადებითად შეაფასა საქართველოს მთავრობამ. პრემიერ-მინისტრის მრჩეველის ადამიანის უფლებათა და გენდერულ საკითხებში თამარ ჩუგოშვილის თქმით, საქართველოს ხელისუფლება ამ ანგარიშს მიესალმება და მნიშვნელოვანი და დაუღალავი შრომისთვის ჰამერბერგს მადლობას უხდის. მთავრობის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ხელისუფლება ბატონი ჰამარბერგის რეკომენდაციებს სრულად გაითვალისწინებს.

საქართველოს ხელისუფლება მიესალმება ამ ანგარიშს და მადლიერებას გამოხატავს ბატონი ჰამარბერგის მნიშვნელოვანი და დაუღალავი შრომისთვის. ხელისუფლება სრულად გაითვალისწინებს ბატონი ჰამარბერგის რეკომენდაციებს. ამ მიზნით ადამიანის უფლებათა ახალ სამოქმედო გეგმას შევიმუშავებთ. რეფორმების გაგრძელების და ევროკავშირსა და სხვა საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის გზით საქართველო მალე მიაღწევს სრულ ინტეგრაციას ევროპასა და ევროატლანტიკურ სივრცეში, - ამბობს თამარ ჩუგოშვილი.

სასკოლო სახელმძღვანელოები
საგამომცემლო ფასში

აბიტურიენტები, ტესტები, საატესტაციო წიგნები
და სხვა დამხმარე ლიტერატურა.

სასკოლო საკანცელარიო ნივთები

ვაჟა-ფშაველას 43,
„დელისის მეტროსთან“
პროფკავშირების კულტურის ცენტრში

595 11 32 33
571 11 32 33

„ოქროს ცხენთევზა„ დაბინავდა

პირველი გვერდიდან

ქვემოთ დანარჩენ გამარჯვებულებს გაგაცნობთ.

„თოვლის მოსვლამდე“ ე.წ. როუდ მუვია, აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით კი გზას ქურთი ყმაწვილი სიარი გაივლის. სიარის მოგზაურობა მაშინ იწყება, როდესაც მისი უფროსი და საკუთარი ქორწილიდან გაიქცევა. სიარს მამა გარდაცვლილი ჰყავს, ამრიგად ოჯახის უფროსი გახლავთ, რაც ნიშნავს, რომ ოჯახის ღირსების აღდგენა სწორედ მისი მოვალეობაა. დის ძიება მას სტამბულამდე ჩაიყვანს, სადაც თანატოლ გოგონას გაიცნობს და მოგზაურობას სწორედ მასთან ერთად აგრძელებს. წყვილი ერთად გაივლის საბერძნეთს, გერმანიას, ნორვეგიას და ეს გზა სიარისთვის უფრო მეტი აღმოჩნდება, ვიდრე გაქცეული პატარძლის ძებნაა.

საუკეთესო რეჟისურისთვის ბელგია-საფრანგეთის კოპროდუქცია „მეხუთე სეზონის“ ავტორები პეტერ ბროსენსი და ჯესიკა ვუდვორთი დააჯილდოეს. მათი ნამუშევარი წელისადის ოთხ დროზე გადანაწილებული ამბავია, თავად ამბავი კი ერთ მიყრუებულ სოფელში იშლება და სცენიდან სცენამდე ერთ დიდ ალეგორიულ სანახაობაში იზრდება.

ქალის როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის ჟიურიმ ირანელი ვაჰიდ მუსაიანის „მეოთხე შვილის“ მსახიობი მაჰტაბ ქერამატი დააჯილდოა, ხოლო მამაკაც მსახიობთა შორის პირველობა არავის დაუთმო სერჟ ავედიკიანმა, რომელიც ოლენა ფეტისოვასთან ერთად გადაღებულ საკუთარ ფილმში სერგო ფარაჯანოვის როლს ასრულებს.

აქვე შეგახსენებთ, რომ მხატვრული ფილმების კონკურსს რეჟისორ მარლენ ხუციევის თავმჯდომარეობით მომუშავე ჟიური აფასებდა, რომლის შემადგენლობაში ასევე შედიოდნენ თურქი რეჟისორი იეშიმ უსტაოღლუ, ამერიკელი პროდუსერი ჯიმ სტარკი, პოლონელი რეჟისორი ვიესლავ სანიევსკი და კინომცოდნე ლელა ოჩიაური. ჟიურის სპეციალური პრიზი კი ებრაელი რამა ბერნშტეინის ფილმმა „შეავსე სიცარიელე“ დაიმსახურა.

ვერც ერთი პრიზი ვერ დაიმსახურა საერთაშორისო კონკურსის ერთადერთმა ქართულმა ფილმმა - ზაზა რუსაძის „ჩემი საბნის ნაკეცმა“. სამწუხაროდ, არ გაუმართლა ქართულ დოკუმენტურ და მოკლემეტრაჟიან ფილმებსაც. დოკუმენტური ფილმების ნომინაციაში ჟიურიმ ჰოლანდიელი ჯოშუა ოპენჰეიმერის „მკვლელობის აქტი“ შეარჩია, ხოლო სპეციალური პრიზი შარშანდელი „ოსკარის“ მომინანტ „ხუთ გატეხილ კამერას“ გადასცა.

მოკლერმეტრაჟიანი ფილმების სექციის რჩეული პოლონელი პიოტრ სულკოვსკის „მირუნა“ გახდა, ჟიურის სპეციალური პრიზი კი შინ ბრიტანელმა ჯონი ბარინგტონმა წაიღო ფილმისთვის „აურზაური“.

წლევანდელი ფესტივალის პროგრამა ძალიან საინტერესო იყო, განსაკუთრებით დიდოსტატთა კოლექცია, რომელის ერთ-ერთი მთავარი ფილმი ანჯეი ვაიდას „ვალესა“ გახლდათ. ეს ფილმი პოლონეთმა „ოსკარის“ უცხოენოვანი ფილმის ნომინაციისთვის შეარჩია და არ არის გამორიცხული, ფინალურ ხუთეულშიც ვიხილოთ. ჰონგ კონგის მიერ ასევე „ოსკარზეა“ წარგზავნილი დიდოსტატთა კოლექციის კიდევ ერთი ფილმი - ვონგ კარ ვაის „გრანდმასტერი“. ამავე სექციაში მაყურებელმა ნახა ჯუზეპე ტორნატორეს „საუკეთესო შეთავაზება“, კიმ კი დუკის „პიეტა“, ფრანსუა ოზონის „ახალგაზრდა და მშვენიერი“, პაოლო სორენტინოს „დიადი სილამაზე“, ჯოშ სტელინგის „გოგონა და სიკვდილი“ და კირა მურატოვას „მარადიული დაბრუნება“.

ბათუმის ფესტივალის დასრულების შემდეგ ჩვენი კინომოყვარულების ყურადღებამ თბილისის კინოფესტივალისკენ გადაინაცვლა, რომელიც წელს 2-დან 8 დეკემბრის ჩათვლით გაიმართება. ამ ფესტივალის შესახებ ჯერჯერობით მეტი არაფერია ცნობილი. უახლოეს ინფორმაციას კი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე წაიკითხავთ.

უფლისციხობა 2013

ხალხური ფოლკლორის, მუსიკის, ცეკვის, რეწვის ფესტივალი უფლისციხეში, რომელზეც ადგილობრივი სკოლის პროდუქტები და ღვინის ნაწარმი იქნება წარმოდგენილი. უფლისციხობა გაიმართება უფლისციხის ისტორიულ არქიტექტურული მუზეუმ ნაკრძალის ტერიტორიაზე.

ეს არის პირველი ოფიციალური პრეცენდენტი უფლისციხობის გამართვისა მუზეუმ ნაკრძალის ტერიტორიაზე.

უფლისციხობა გაიმართება ყოველ წელს 26 სექტემბერს და ემთხვევა რთველის დღესასწაულს.

უფლისციხობა ხორციელდება უფლისციხის მუზეუმ ნაკრძალის დირექციის ინიციატივით, გორის მუნიციპალიტეტის და გორის მუნიციპალიტეტის კულტურული განყოფილების, ქვახვრელის სოფლის მოსახლეობის მხარდაჭერით.

უფლისციხობის ოფიციალური გახსნა შედგება 26 სექტემბერს, 12:00 საათზე. პროგრამა შემდეგნაირია:

12:00 - ღონისძიების ოფიციალური გახსნა საკონფერენციო დარბაზში

12:30 - საწნახელის გახსნა. საწნახელში ქართული მრავალხმიანი ცოცხალი მუსიკის თანხლებით დაიწურება ქართული ღვინო. ღვინოს დაწურვის პროცეში მონაწილეობის მოღება ყველა სტუმარს შეუძლია

13:20 - მაყვლოვანი დარბაზი. შავფაროსნები წარმოადგენენ ქართულ საბრძოლო ხელოვნებას

14:00 - თამარის დარბაზი. გორის ფოლკლორული ანსამბლი წარმოაგდენს ქართული მრავალხმიანი სიღმერების კონცერტს.

14:00 - გორის სკოლა ლიცეუმი წარმოაგდენს ბავშვთა ანსამბლის ქართული ხალხური მუსიკის კონცერტს თეატრონში

15:00 - გვირაბის მიმდებარე ტერიტორიასთან, მტკვრის ნაპირი.

გორის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი წარმოაგდენს ქართულ ცეკვებს.

ჩურჩხელის ამოვლება
ღვინის დეგუსტაცია
პურის ცხობა თონეში

დაღესტანში აფეთქებას ორი პოლიციელი ემსხვერპლა

დაღესტნის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ტაბასარანის რაიონში აფეთქებისას პოლიციის ორი თანამშრომელი დაიღუპა, 20 ადამიანი კი დაშავდა. წინასწარი ინფორმაციით, აფეთქება თვითმკვლელმა-ტერორისტმა განახორციელა. «მანქანის აფეთქების შედეგად ახლოს მდგარი პოლიციის შენობა ჩამოინგრა. ნგრევას ორი პოლიციელი ემსხვერპლა. 20 ადამიანი საავადმყოფოშია გადაყვანილი," - განაცხადა სამინისტროს პრესსამსახურის წარმომადგენელმა. გავრცელებული ინფორმაციით, დაშავებულებს შორის არასრულწლოვანიც არის.

უკრაინას ინტეგრაციის ერთი ვექტორით შემოფარგვლა არ სურს

უკრაინის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლაი აზაროვმა განაცხადა, რომ არასწორად მიაჩნია ქვეყნის ინტეგრაციის მხოლოდ ერთი ვექტორით შემოფარგვლა - ან საბაჟო კავშირით ან ევროკავშირით. «ვესტი 24"-სთვის მიცემულ ინტერვიუში აზაროვმა აღნიშნა, რომ დღეს ქვეყნებს რაც შეიძლება მეტი პარტნიორები უნდა ჰყავდეთ. მისი თქმით, საბჭოთა კავშირი მსოფლიოს იყო მონყვეტილი, რასაც სამწუხარო შედეგი მოჰყვა. როგორც აზაროვმა აღნიშნა, დღეს ეს შეცდომა აღარ უნდა განმეორდეს: «ჩვენ თქვენთან გვინდა ყოფნა, თუმცა ამასთან, სხვაგან ყოფნაც გვსურს."

ნოემბერში, ვილნიუსის სამიტზე უკრაინა ევროკავშირთან ასოციაციის შეთანხმების ხელმოწერას გეგმავს. ამასთან, კიევს, სავარუდოდ, საბაჟო კავშირთან მჭიდრო თანამშრომლობაც სურს, თუნდ ასოცირებულ წევრად. რუსეთის პრემიერი დმიტრი მედვედევი კი აცხადებს, რომ უკრაინა ევროკავშირთან ასოცირებული წევრობისა და საბაჟო კავშირში ინტეგრაციის შეთავსებას ვერ შეძლებს: «ან ყველაფერი, ან არაფერი," - აღნიშნავს პრემიერი.

ჩინეთში ტაიფუნს მსხვერპლი მოჰყვა

ჩინეთში ტაიფუნ «უსაგის", სულ მცირე, 25 ადამიანი ემსხვერპლა. სტიქიის გამო მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დატვირთული ჰონგ-კონგის პორტი დახურეს. რამდენიმე ქალაქს შორის სარკინიგზო მიმოსვლა შეჩერებულია. 14 ქალაქში კი სკოლები დაიხურა.

„ODKB"-ს ლიდერებმა სოჭში სირიასა და ავღანეთზე იმსჯელეს

კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის ლიდერებმა სამიტის ფარგლებში, რომელიც სოჭში მიმდინარეობს, ორ სერიოზულ საერთაშორისო პრობლემაზე - ავღანეთსა და სირიაზე იმსჯელეს. «ორგანიზაციის წევრი ქვეყნები თანხმდებიან, რომ სირიის კრიზისი შესაძლოა, მხოლოდ დიპლომატიური გზით გადაიჭრას," - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწემ იური უშაკოვმა. ამას გარდა, ავღანეთის, სომხეთის, ბელარუსის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, რუსეთისა და ტაჯიკეთის პრეზიდენტებმა 2014 წელს ავღანეთიდან ნატოს ძალების გამოყვანის შემდეგ ერთობლივი მოქმედებებიც განიხილეს.

ბერეზოვსკის აქტივები მისი სიკვდილის მომენტში 800 მილიონ დოლარს შეადგენდა

რუსი ოლიგარქის ბორის ბერეზოვსკის აქტივები მისი სიკვდილის მომენტში 800 მილიონ დოლარს შეადგენდა - აღნიშნულის შესახებ გაზეთი „სანდი თაიმსი" წერს. ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ სიკვდილის დროისთვის ბერეზოვსკი ბანკროტი იყო და მას 481 მილიონი დოლარის ვალი ჰქონდა. გამოცემა საკუთარ წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ ბერეზოვსკი საფრანგეთში რამდენიმე სახლს ფლობდა, რომელთა ღირებულებაც 400 მილიონი დოლარია. ამასთან, მას თავისი ყოფილი პარტნიორის, გარდაცვლილი ქართველი ბიზნესმენის ბადრი პატარკაციშვილის ქვრივისგან უახლოეს პერიოდში 300 მილიონი დოლარი უნდა მიეღო.

ცნობისათვის - ბერეზოვსკი 2013 წლის მარტში დიდ ბრიტანეთში საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს.

პაკისტანში ეკლესიაზე თავდასხმას 80 ადამიანი შეეწირა

პაკისტანის ქალაქ ფეშევარში კვირას ქრისტიანულ ეკლესიაზე თავდასხმას 80 ადამიანი ემსხვერპლა, 100 კი დაშავდა. გავრცელებული ინფორმაციით, ეკლესიასთან ორმა თვითმკვლელმა-ტერორისტმა აიფეთქა თავი. ამ დროს ტაძარში 500-600 ადამიანი იმყოფებოდა. აფეთქებაზე პასუხისმგებლობა აიღო «თალიბანთან" დაკავშირებულმა დაჯგუფებამ. ორშაბათს პაკისტანის ბევრ ქალაქში ქრისტიანებმა საპროტესო აქციები მოაწყვეს და მთავრობას ექსტრემისტებისგან დაცვა მოსთხოვეს. ისლამაბადში მათ გარკვეული ხნით გადაკეტეს ერთ-ერთი ხალხმრავალი ქუჩაც. როგორც პოლიტიკოსებმა, ასევე სხვა კონფესიების რელიგიურმა ლიდერებმა ფეშევარში ქრისტიანებზე თავდასხმა დაგმეს. მთავრობამ სამდღიანი გლოვა გამოაცხადა. ქრისტიანები ქვეყნის მოსახლეობის 1,6 პროცენტს შეადგენენ.

პრინცი ჭორჭი ყველაზე გავლენიან ლონდონელად დაასახელეს

კემბრიჯის ჰერცოგისა და მისი მეუღლის - უილიამისა და ქეითის ვაჟმა, პრინცმა ჯორჯმა ყველაზე გავლენიანი ლონდონელის სახელი მიიღო. ორი თვის ბავშვს ეს ტიტული გაზეთმა Evening Standard-მა მიანიჭა, რომელმაც ტრადიციულად «1000 ყველაზე გავლენიანი ადამიანის" სია გამოაქვეყნა. რეიტინგში პოლიტიკოსები, მსახიობები, სპორტსმენები და სხვა სფეროს წარმომადგენლები არიან შესულები, რომლებიც მსოფლიოში დიდი ბრიტანეთის დედაქალაქის იმიჯის აღქმაზე გავლენას ახდენენ. ერთი წლის წინ ამ სიას ლონდონის მერი ბორის ჯონსონი ედგა სათავეში.

მოამზადა თამთა კახაძემ

მერკელი ტრიუმფალურ გამარჯვებას ზეიმობს

პირველი გვერდიდან

ეს ამ პარტიისთვის 1990 წლის შემდეგ ყველაზე დამაჯერებელი მაჩვენებელია, თუმცა მაინც არ აძლევს ამ პარტიას მთავრობის დამოუკიდებლად ჩამოყალიბების საშუალებას. აბსოლუტურ უმრავლესობამდე მათ, სულ ცოტა, ერთი ან ორი პროცენტი დააკლდათ. ცხადია, იმ პარტიების პროცენტების გადანაწილების ხარჯზე, რომლებმაც ხუთპროცენტიანი ბარიერი ვერ გადალახეს.

მთავარი ახლა სწორედ კოალიციის მეორე მონაწილის საკითხია. საქმე ის არის, რომ პარლამენტს მიღმა დარჩა «თავისუფალ-დემოკრატთა კავშირი» - მერკელის ბლოკის ტრადიციული მოკავშირე და მათ შორის პარტნიორი წინა კოალიციაში ბოლო არჩევნებიდან დღემდე. ახლა მემარჯვენე-ცენტრისტულ «ქრისტიან-დემოკრატებს» მოუწევთ, ტრადიციული ლიბერალების ნაცვლად, კოალიციის პატნიორი მამარცხენე ბანაკში შეარჩიონ, რადგან მათ გარდა, ბუნდესტაგში მოხვედრილი დანარჩენი სამივე პარტია მემარცხენეთა ფრთას განეკუთვნება. შესაძლოა, ისევ საჭირო გახდეს ფართო კოალიციის შექმნა მთავარ კონკურენტთან - მემარცხენე ცენტრისტულ «სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან». ამ უკანასკნელებმა ხმათა, დაახლოებით, 26 პროცენტი მიიღეს. ამის გამოცდილება არსებობს - მერკელის ხელისუფლებაში ყოფნის პირველი ოთხი წლის განმავლობაში, 2005-დან 2009 წლამდე, სახელმწიფოს სწორედ «ქრისტიან-დემოკრატებისა» და «სოციალ-დემოკრატების» კოალიცია მართავდა. ამ ორმა პარტიამ მაშინ თითქმის თანაბარი ხმები მიიღო. არჩევნებამდე სამი კვირით ადრე, ტელედებატებში, «სოციალ-დემოკრატების» ლიდერმა პეერ შტაინბრუკმა განაცხადა, რომ ის არ გეგმავს კოალიციაში შესვლას არც «ქრისტიან-დემოკრატებთან» და არც მემარცხენეებთან. თუმცა დღეს არჩევნების შედეგები უკვე ცნობილია და ამის მიხედვით მოუწევთ პარტიებს თავიანთი პოზიციების განსაზღვრა. პეერ შტაინბრუკმა კვირას აღიარა, რომ მათ ვერ მიიღეს ის შედეგი, რასაც გეგმავდნენ. დასახელებული ორი პარტიის გარდა, ბუნდესტაგში მოხვდნენ «მწვანეები" და «მემარცხენეები". ორივე ამ პარტიას მიღებული აქვს ხმების, დაახლოებით, 8,5 პროცენტი. ანგელა მერკელმა კვირა საღამოს, როდესაც მხოლოდ ეგზიტპოლების შედეგები იყო ცნობილი, განაცხადა, რომ კოალიციაზე ლაპარაკი ჯერ ძალიან ადრეა.

პარლამენტს მიღმა დარჩენილებიდან 4,9 პროცენტი მიიღო ახალმა პარტიამ «ალტერნატივა გერმანიისთვის", რომელიც ქვეყნის ევროზონიდან გამოსვლის მომხრეა და 4,8 პროცენტი მიიღო «თავისუფალ დემოკრატთა პარტიამ". თავისუფალი დემოკრატების ლიდერი ფილიპ როსლერი გუშინ გადადგა. ეს პარტია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველად დარჩა პარლამენტის გარეთ. სავარაუდოდ, «მწვანეთა" ხელმძღვანელობაც გადადგება.

ანგელა მერკელმა პარტიის შტაბბინაში მომხრეების წინაშე გამოსვლისას განაცხადა: «დღეს შეგვძილია, ვიზეიმოთ, რადგან ჩვენ ფანტასტიკური რამ გავაკეთეთ. ეს სუპერ შედეგია."

კანცლერის თანამდებობაზე 8 წლის განმავლობაში ყოფნისას მერკელმა მოახერხა გერმანიის გადარჩენა ფინანსური კრიზისისგან, ასევე თავიდან აიცილა ევროზონის შესაძლო დაშლა. ის ერთადერთი ლიდერია ევროპაში, რომელიც ამ რთულ წლებს წარმატებით გაუმკლავდა. გერმანის ომის შემდგომ ისტორიაში აქამდე მხოლოდ კონრად ადენაუერმა და ჰელმუტ კოლმა მოახერხეს კანცლერის თანამდებობაზე ზედიზედ მესამე ვადით დარჩენა (სხვათა შორის ორივე, უფრო სწორად, სამივე, მერკელის ჩათვლით, მემარჯვენეა).

მიმომხილველების აზრით, «ქრისტიან-დემოკრატების» მიერ მიღებული ხმები ანგელა მერკელის ბრწყინვალე გამარჯვებაა. სოციოლოგიური გამოკითხვები მის გამარჯვებას ვარაუდობდნენ, მაგრამ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ეს პარტია ასე ახლოს მივიდოდა პარლამენტში აბსოლუტური უმრავლესობის მოპოვებასთან.

„აშ-შაბაბის" ტერორისტული თავდასხმა ნაირობიში

ივა შილაკაძე
თამთა კახაძე

შაბათს კენიის დედაქალაქ ნაირობიში შეიარაღებული დაჯგუფების „ალ შაბაბის" წევრებმა სავაჭრო ცენტრი ჩაიგდეს ხელში. «Westgate»-ზე თავდასხმას, სულ მცირე, 62 ადამიანი ემსხვერპლა და, დაახლოებით, 170 - დაშავდა. დაღუპულებს შორის საფრანგეთის, კანადისა, დიდი ბრიტანეთის, განის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, ინდოეთის, სამხრეთ კორეის, ნიდერლანდების მოქალაქეებიც არიან. დაღუპულებს შორის არის კენიის პრეზიდენტ უხურუ კენიატას ძმისშვილიც. კენიის პრეზიდენტმა პირობა დადო, რომ ყველა დამნაშავეს იპოვიან, სადაც არ უნდა დაიმალონ ისინი. ტერორისტებმა შენობაში შესვლისთანავე უწერიგო სროლა ატეხეს, მუსლიმებს და არაბულად მოლაპარაკეებს უშვებდნენ, ხოლო დანარჩენებს, მათ შორის ბავშვებს, უმოწყალოდ ხოცავდნენ. ერთი შეხედვით გაურკვეველი წარმოშობის ადამიანებს უწყობდნენ სასიკვდილო გამოცდას. ვინც ყურანის ციტირებას ვერ მოახერხებდა ან წინასწარმეტყველ მუჰამედის დედის სახელს (ამინა) ვერ გაიხსენებდა, კლავდნენ.

კენიის შეიარაღებული ძალების პრესმიდვანმა საირუს ოგუნმა „ბიბი-სი"-ს განუცხადა, რომ მძევალთა უმრავლესობა გათავისუფლებულია. გუშინ, საღამოსთვის, ტერორისტების ხელში, დაახლოებით, ათი მძევალი რჩებოდა. მძევლების გათავისუფლების ოპერაცია მესამე დღეა, გრძელდებოდა. სამხედროებმა შენობის ძირითადი ნაწილი დაიკავეს, მათ შორის ზედა სართულები მთლიანად.

ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრის ცნობით, ქალაქის ყველაზე თანამედროვე სავაჭრო ცენტრს 10-15 შეიარაღებული მებრძოლი დაესხა თავს. ზოგი ინფორმაციით, ერთ-ერთი თავდამსხმელი ქალი იყო. შემდეგ ეს ცნობა უარყვეს.

სომალიში ბაზირებული ისლამისტური დაჯგუფება «აშ-შაბაბი» (არაბულად ნიშნავს «ახალგაზრდობას») «ალ-ქაიდასთან» არის დაკავშირებული. დღეს «აშ-შაბაბი»-ში 7-დან 9 ათასამდე მებრძოლია გაერთიანებული. ეს დაჯგუფება, დაახლოებით, 20 წლის წინ შექმნილი და ან უკვე დაშლილი «ისლამური სასამართლოების კავშირის» ახალგაზრდული ფრთაა. თავის დროზე სუსტი ადგილობრივი ხელისუფლების მხარდასაჭერად სომალიში შესულ ეთიოპურ ჯარებს ებრძოდნენ. 2006-2008 წლებში არშემდგარი სახელმწიფო სომალის მნიშვნელოვან ნაწილს აკონტროლებდნენ, დედაქალაქ მოგადიშოს ჩათვლით. შემდეგ აფრიკული კავშირის გაერთიანებულმა კონტინგენტმა, დასავლეთის მხარდაჭერით, «აშ-შაბაბი» სომალის თითქმის ყველა დიდი ქალაქიდან გააძევა. ამ ოპერაციაში მოწინავე როლს ასრულებდა მეზობელი კენიის მსხვილი კონტინგენტი. შესაბამისად, შაბათის თავდასხმაც შურისძიებაა კენიაზე. «აშ-შაბაბს» აქამდეც განუხორციელებია თავდასხმები უცხოეთში, სომალის მეზობელ სახელმწიფოებში.

გუშინ, გვიან საღამოს, სავარაუდოდ, შენობის დარჩენილი ნაწილის შტურმი დაიწყო. ამ თემას ჩვენს ხვალინდელ ნომერში ისევ შევეხებით.

სირიამ ქიმიურ იარაღზე მონაცემები გახსნა

ამბოხებულები კი უკვე ერთმანეთს ებრძვიან

თამთა კახაძე
ივა შილაკაძე

ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციამ (ქიაო), რომლის შტაბბინაც ჰაგაში მდებარეობს, შაბათს სირიის ხელისუფლებისგან სრული ინფორმაცია მიიღო ქვეყნის ქიმიური იარაღის მარაგებისა და ქარხნების შესახებ, რასაც «კერი-ლავროვის» შეთანხმების შემდეგ პირველივე კვირაში ელოდებოდა. ინფორმაციის პირველი ნაწილი დამასკომ ორგანიზაციას პარასკევსვე გადასცა, რის შესახებაც უკვე წერდა «24 საათი».

«ქიაო»-მ განაცხადა, რომ მიიღეს ინფორმაცია, რომელსაც ელოდებოდნენ და ახლა ამ მონაცემებს ორგანიზაციის ტექნიკური სამდივნო სწავლობს. ივარაუდება, რომ სირიას მომწამვლელი ნივთიერებების, დაახლოებით, 1000-ტონიანი მარაგი აქვს. ორგანიზაციას არ დაუზუსტებია, თუ კონკრეტულად რა სახის ინფორმაცია მიიღო. აშშ-სა და რუსეთის შეთანხმების თანახმად, ინსპექტორთა პირველი ჯგუფი სირიაში ნოემბერში ჩავა, ცნობების ადგილზე გადამოწმებას დაიწყებს და ქიმიური იარაღის საწარმოო მოწყობილობების განადგურების პროცესს დაესწრება. მთელი ქიმიური იარაღი 2014 წლის შუახანებისთვის უნდა განადგურდეს, რისი გრაფიკიც მოგვიანებით გამოქვეყნდება. ასადი კი, როგორც ჩვენ უკვე ვწერდით, ამ პროცესისთვის წელინადს «თხოულობს».

ამ უქმეების განმავლობაში სირიის თემას რუსეთის ოფიციალური პირები საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი და პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი სერგეი ივანოვი (თავდაცვის ყოფილი მინისტრი) ისევ შეეხნენ. სერგეი ლავროვმა რუსეთის ერთ-ერთი ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ რუსეთი სირიაში გაგზავნის სამხედრო სპეციალისტებს და სამხედრო პოლიციის თანამშრომლებს ქიმიური იარაღის განადგურების პროცესში მონაწილეობისთვის, ოღონდ ეს იქნება მცირე ჯგუფი, რომელიც, ძირითადად, დამკვირვებლის ფუნქციებს შეასრულებს. ლავროვის სიტყვებით, სერიოზული სამხედრო კონტინგენტის გაგზავნა არ განიხილება. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დასძინა, რომ სასურველია, სირიაში ასეთი ჯგუფები გაეროს უშიშროების საბჭოს ყველა მუდმივმა წევრმა სახელმწიფომ გაგზავნოს, ასევე არაბულმა ქვეყნებმა და თურქეთმა - ანუ ყველა დაინტერესებულმა სახელმწიფომ, რომელიც სირიაში რომელიმე მხარესთან თანამშრომლობს. ლავროვის აზრით, სირიაში ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ საქმე აქვთ მთელ საერთაშორისო თანამეგობრობასთან. მანვე კვლავ გააკრიტიკა აშშ-სა და მისი მოკავშირეების პოზიცია სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენებაში «დამნაშავეთა» შესახებ.

სერგეი ივანოვმა კი სტოკჰოლმში ერთ-ერთ საერთაშორისო კონფერენციაზე - «გლობალური სტრტეგიული ხედვა» - გამოსვლისას ასევე ილაპარაკა სირიის თემაზე. მისი სიტყვებით, რუსეთი სირიასთან ურთიერთობის მხოლოდ დიპლომატიურ მეთოდებს ცნობს. სამხედრო ძალის გამოყენების მუქარის შემთხვევაში, ივანოვის აზრით, ოპოზიცია საერთოდ დაკარგავს სამშვიდობო დიალოგში მონაწილეობის ხალისს და გადაწყვეტს, რომ მათ გამარჯვებას ამერიკა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოები საჰაერო დარტყმით შეუწყობენ ხელს (ლიბიის მსგავსად). თუმცა სერგეი ივანოვმა ისიც განაცხადა, რომ რუსეთისთვის ვეტოს გამოყენების მიზეზი მხოლოდ პრინციპი არ არის. თუ ქიმიურ შეტევაში დამნაშავე ზუსტად გაირკვევა ან კრემლი დარწმუნდება, რომ ასადი «ყალთაბანდობს», ეს უკვე სხვა მოცემულობა იქნება და რუსეთმა პრინციპში შეიძლება, პოზიცია შეიცვალოს კიდეც.

ამასობაში დაპირისპირება გამწვავდა სირიის ამბოხებულთა სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის. უკანასკნელი 48 საათის განმავლობაში შეიარაღებულ ანტისამთავრობო ფორმირებებს შორის შეტაკებები, რომელიც ალეპოს მახლობლად ქალაქ ააზაზში დაიწყო, სხვა ქალაქებზეც (სურანი, ხარეიტანი, ანდანი, იდლიბი ლატაკია, რაკკა და ელ-ჰასიკი) გავრცელდა. „შეიარაღებული მებრძოლები ერთმანეთს სასაზღვრო პუნქტებისა და ბლოკ-პოსტების ხელში ჩასადგებად ებრძვიან, რათა შემოსულ იარაღი და ჰუმანიტარული დახმარება გააკონტროლონ," - აღნიშნავს ექსპერტი მოჰსენ სალეჰი. ამ დაპირისპირების შედეგად ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ტერორისტული დაჯგუფების „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს" ლიდერი აბუ აბდალ ალ-ლიბი მოკლეს. ამ დაჯგუფებას მჭიდრო კავშირები აქვს „ალ ქაიდასთან". ალ-ლიბი ქალაქ დანაში მოკლეს. გავრცელებული ინფორმაციით, იგი თურქეთის საზღვართან ახლოს მანქანაში ჩაცხრილული იპოვეს. სირიის თავისუფალმა არმიამ, რომელიც ამ დაჯგუფებას ებრძვის, ტერორისტის სიკვდილი დაადასტურა, თუმცა მკვლელობაზე პასუხისმგებლობა არ აუღია.

დამასკოში ამბოხებულების მიერ ნაღმტყორცნებით ერთ-ერთი ცენტრალური რაიონის მეზეს დაბომბვისას ერთ-ერთი ნაღმი რუსეთის საელჩოს ტერიტორიაზე ჩავარდა. „დაშავდა საელჩოს სამი თანამშრომელი," - ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში. მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ეს თავდასხმა აშშ-მაც დაგმო. ვაშინგტონი დამასკოში რუსეთის საელჩოზე მიტანილ იერიშს გმობს, - აღნიშნულის შესახებ სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა მარი ჰარფმა განაცხადა. „ჩვენ ვგმობთ ნებისმიერ თავდასხმას იმ პირებსა თუ ობიექტებზე, რომლებსაც საერთაშორისო სამართალი იცავს. ამერიკა აცხადებს, რომ ყველა ტიპის თავდასხმაზე პასუხისმგებლები აუცილებლად უნდა დაისაჯონ." დამასკოში რუსეთის საელჩოს დაშავებულ თანამშრომლებს თანაგრძნობა გამოუცხადა რუსეთში ამერიკის ელჩმა მაიკლ მაკფოლმაც.

ახალგაზრდული ნაკრების ევროპული ტატამი

პირველი გვერდიდან

ღვინიაშვილმა ყველა შეხვედრა იპონით მოიგო

ჩემპიონატი გია გუგავას გუნდისთვის წარუმატებლად დაიწყო. ლუხუმ ჩხვიმიანს (60 კგ.) ბრინჯაოს მედლამდე ერთი მოგება დააკლდა, ვაჟა მარგველაშვილი კი, რომელიც ასევე 60 კილოგრამში ასპარეზობდა, ტურნირს მერვედფინალში გამოეთიშა.

ჩემპიონატის დებიუტში მედლების კომპლექტი 55 და 66 კგ-შიც გათამაშდა, მაგრამ, იმის გათვალისწინებით, რომ ამ ორ წონაში საქართველოს ნაკრებს წარმომადგენელი არ ჰყავდა, მან ჩვენთვის აქტუალურობა დაკარგა.

საქართველოს ნაკრებისთვის მეტ-ნაკლებად საინტერესო გამოდგა ჩემპიონატის მეორე დღე, როდესაც წინა დღის უგუნებობა ლევან გუგავას (73 კგ.) ვერცხლის მედალმა გამოგვიკეთა, თუმცა გულნაკლულებიც დაგვტოვა. საქმე ის არის, რომ ფინალში ჭიდაობა მოუხდა საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელის გიორგი რევაზიშვილის ვაჟთან, რომელიც დღეს საბერძნეთისა და რომან მასტოპულოსის სახელით ასპარეზობს. მასტოპულოსმა ფინალისკენ მიმავალ გზაზე საფრანგეთის სახელით მოასპარეზე ერთი ქართველიც - ტრისტან ავალიანიც დაამარცხა.

ჩემპიონატის მეორე დღეს ტატამზე გავიდა უშანგ მარგიანი (81 კგ.), მაგრამ ევროპულ ტატამს მერვედფინალიდან გამოეთიშა. ქართველს ისევ ბერძენმა, ევროპის 2012 წლის ჩემპიონმა ალექსიოს ნტანაციდიმ გადაუღობა გზა.

გია გუგავას შეგირდებმა ჩემპიონატის დასკვნით დღეს გაშალეს ფრთები - სამიდან ორი მოგებული ფინალი და ერთი მესამე ადგილი.

საქართველოს ნაკრებიდან ჩემპიონები გახდნენ ჭაბუკებიდან ახალგაზრდებში გადასული ბექა ღვინიაშვილი (90 კგ.) და გურამ თუშიშვილი (100 კგ.). ოქრომდე ნაბიჯი დააკლდა ლევან მატიაშვილს (მძიმე წონა), მესამე ადგილზე გავიდა გიორგი ზაქარიაძე (მძიმე).

ბრინჯაოსთან ახლოს იყო თორნიკე ოთინაშვილი (100 კგ.), მაგრამ ჩემპიონატს მეხუთე ადგილით დაემშვიდობა. მეორე წრეში წაგებით არ გაუმართლა ლაშა ტაველურსაც (90 კგ.)

სარაევოში გამგზავრებამდე ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გია გუგავამ თქვა, რომ აქცენტს აკეთებდა მედლის მოპოვების რეალურ კანდიდატებზე და არა შარშანდელ შედეგებზე.

სტრატეგიამ გაამართლა. ათკაციანი გუნდიდან ხუთმა მედალი აიღო. გუნდურ ჩათვლაში, სადაც გოგონათა შედეგებსაც ითვალისწინებენ, მეორე ადგილზე გავიდნენ, ვაჟებში კი პირველობას ვერავინ შეგვეცილა.

ჩვენი ნაკრები დღეს გამთენიისას ჩამოფრინდა.

ტონის ერთი წრე

ზურა თალაკვაძე

ტონი პარკერი

ევროპის ჩემპიონატი საფრანგეთმა მოიგო. ევროპის ჩემპიონატი ტონი პარკერმა დაიტოვა და სლოვენიამ ახალი ესპანეთი, იან ვესელი, ალესანდრო ჯენტილე გადაგვაკითხა. საინტერესო წასაკითხი იყო. საინტერესო ავტორებთან ერთად. საფრანგეთი ცოტა ზარმაცი იყო და მშვიდი ტონით მწვანე მილი ბოლომდე გაიარა. სტივენ კინგის რომანში ბუნჩულა მისტერ კოფი მიდის და ტკივილს, მოგონებებს ტოვებს. სლოვენიაში ტონი პარკერმაც ტკივილი და მოგონებები დატოვა. უბრალოდ, ტონი დარჩა. შემდეგ ევრობასკეტამდე დარჩა. შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატამდე დარჩა. შემდეგ ოლიმპიადამდე დარჩა. და საფრანგეთმა კალათბურთში ზინედინ ზიდანი მიიღო. ზიდანი სხვა სახეობაში და ზიდანი სხვა გენერაციისთვის. ტონიმ უნდა დაისვენოს და ამერიკული მთებისთვის მოემზადოს. იქ გრეგ პოპოვიჩი ახალ, ძველ, უკეთეს ფრანგს ითხოვს და იქ დრაგიჩები და კალნიეტისები არ წამოვლენ. პარკერზე დერიკ როუზი, რას უესთბრუქი, კრის პოლი ავლენ და ტონიმ ეს არმადა უნდა გააჩეროს.

იტალიამ ორი ვარსკვლავის, ანდრეა ბარნიანის და დანილო გალინარის გარეშე დახურა ევრობასკეტი. ბარნიანი არასტაბილურია და გალინარი კლასია. მშვიდი, გაწონასწორებული უნივერსალი, რომელიც იგებს. და იტალიამ მეოთხედფინალამდე ამ ბიჭებით და ერთი ნომინალური ცენტრით იარა. იტალიამ ჯენტილეს შესვლებით, მარკო ბელინელის მაჯით და იტალიური სადიზმით მოიგო მოსაგები. და ცისფერი გუნდი ლიტვამ გააჩერა. ლიტვაც ჯიუტი იყო და ჯენტილემ იქ, წაგებულ მეოთხედფინალში, 15 ქულა დასვა. და ტურნირი 14.2 ქულით დახურა. ჯერ მხოლოდ 20 წლისაა და უკვე ძალიან მაგარია. ასიანი იტალიელი. კარგად გამოიყურება, სხვებს ვიზუალს უფუჭებს და ასაღებს იღებს. ორი წლის წინ ჯენტილემ პატარების ევროპაზე იტალიას მედალი ააღებინა და ალესანდრო გაიზარდა. ამ კალათბურთს ადრე ერთი არგენტინელი თამაშობდა. ის არგენტინელი დღეს უკვე მოცარტია. ან ბახი. ან ვაგნერი. და ჯენტილეს აქვს შანსი, გააჯაზოს. იტალიური კალათბურთი დაბრუნდა. მაიერსის და ფუჩკას გუნდმა ევრობასკეტი მოიგო. ახალი იტალია ახალი ჯოკრებით ცდილობს მოგებას. ოპტიმალური იტალია თითქმის საფრანგეთის დონეზე დგას და იქ საქმეს ვერც ბრექი ბარნიანი გააფუჭებს. ევრობასკეტმა კარგი იტალია მიიღო. ცისფერი ტიტანები.

ესპანეთი შეიცვალა. ესპანეთი ორი ალესილი ესპანელის გარეშე ცდილობდა ტიტულის დაცვას და ბოლომდე ვერ მივიდა. იქ და მანამდეც ახალი ესპანეთი პო გასოლის და ხუან კარლოს ნავაროს ნიჭს ვერ იღებს და თითქმის ყველა გადამწყვეტ მომენტში ესპანეთი დადგა. ესპანეთი მაინც მოიგებდა ტურნირს, ოდნავ სერიოზულად რომ ეთამაშა ორი მეოთხედი. საფრანგეთთან ძირითად დროში ესპანეთი იგებდა და ბოლო ორ მეოთხედში ვერ დაეწია ტონი პარკერს. ახალი ესპანეთის ახალი მთავარი მწვრთნელი არის ხუან ორენგა. გუნდს აკლდა სიმკაცრე. მარკ გასოლი ტურნირის საუკეთესო ცენტრი იყო და დიდ ბიჭს აკლდა დამრიგებელი, საუკეთესო მეგობარი, უბრალოდ, შეუცვლელი ძმა. პო გასოლი. ორ გასოლთან ერთად ესპანეთი საფრანგეთს კუთხეში დააყენებდა. როგორც ადრე დაუყენებია. და ის, ძველი ესპანეთი დაუნდობელი იყო. ეს ესპანეთი ისვენებდა, ჰამაკში ჩაწოლას ასწრებდა და მეორე ცდიდან ცდილობდა მოგებას. მარკი ტურნირს 13.9 ქულით, 7.8 მოხსნით, 2.2 პასით ამთავრებს. იტალიასთან გასოლმა შაკივით მილეწა ყველაფერი (32+10 მოხსნა) და საფრანგეთთან წაგებულ ბლოკბასტერში 19+9+3 დაფარება დაიტოვა. და 6 შეცდომა დაუშვა. ის მარკი იღლებოდა. დაღლილი იყო კალდერონიც. და რუბიოც. და ერთი პო ყველა პრობლემას მოაგვარებდა.

ჩეხეთი რომ მეორე ეტაპზე გასულიყო, იან ვესელი ტურნირის სიმბოლურში ჩაჯდებოდა. ბიჭი სხვა დონეზე გადის. ნელ-ნელა, მაგრამ გადის. და ვესელი სწავლობს. სულ ბლოკნოტით დადის და ყველაფერს იწერს. სულ რაღაცას იმახსოვრებს და ჩეხეთმა კალათბურთში იარომირ იაგრი მიიღო. ვესელი ამერიკაში ნორმალურად იწყებს (4.7+4.4 მოხსნა და 20 სტარტი პირველ 57 თამაშში) და მეორე რეგულარულში ფორვარდის სტატისტიკა გაუარესდა (2.5+2.4). ნაკლებ დროში ვესელი ვერ გაიშალა და ევროპის ჩემპიონატზე ახალგაზრდა შეუდარებელი იყო. 23 წლის იქსმენი, რომელმაც ტურნირი 17.0 ქულით, 11.2 მოხსნით და 1.6 ჩაჭრით დაამთავრა. ვესელი პირველი იყო (არასტაბილურ ვალანჩუნასთან ერთად) ორმაგ დუბლებში (3). და ვესელიმ სამი ორმაგი მხოლოდ 4 თამაშში აკრიფა. ვალანჩუნასმა - თერთმეტში. დომინაცია ჩვენთან - 27+10 მოხსნა. ესპანეთთან ბიჭმა მხოლოდ 7 ქულა (14 მოხსნასთან ერთად) აიღო და ესპანეთთან მთელმა ჩეხეთმა მხოლოდ 39 ქულა დააგროვა. ვესელი ახალი გენერაციის ახალი ლიდერია. მოძრავი, მოქნილი, მონდომებული და საკუთარ თავში დარწმუნებული. ვესელიმ ამერიკაში მეტი დრო უნდა მიიღოს. აუცილებლად უნდა მიიღოს. ჩეხეთი ჯგუფის აუტსაიდერად ითვლებოდა და ვესელიმ გუნდი თითქმის მეორე ეტაპზე ჩასვა. ჩეხეთი გვიგებს ჩვენ, ჩეხეთი უგებს მარჩინ გორტატს და ბოლო ტესტში ვერ მიდის ბოლომდე ხორვატიასთან 53:70. ბრავო ჩეხეთს, ბრავო. და ბრავო იან ვესელის. მაგარი ხარ, ძმაო. ძალიან მაგარი. „ვაშინგტონს“ ვაკვირდებით.

პარკერი ბოლო აკორდია. ამ წერილის. საფრანგეთის ნაკრების. მთელი ჩემპიონატის. ტონი იყო ცალკე ტურნირი, სადაც ბევრი პარკერი იდგა და ყველას ერთი მიზანი ჰქონდა - უნდა მოეგო ბოლო თამაში. და ბოლო თამაში უნდა ყოფილიყო ფინალი. რომელიც საფრანგეთმა პარკერის კარიერული კოლაფსებით დაიმსახურა. პარკერს მანამდე ორჯერ ჰქონდა ჯეკპოტის მოხსნის შანსი. ერთხელ ადრე (2005), როდესაც დიამანტიდისმა ბოლო წუთზე ტონის და მთელ საფრანგეთს ოცნება, ფინალის ვიზა წაართვა - 67:66. მეორედ - წინა ევრობასკეტზე. სადაც საქართველოს ნაკრების დებიუტი იყო. სადაც პარკერი პირველად გადის ფინალში და იქ ესპანეთი იყო. ორი გასოლის, სერჟ იბაკას, შეუდარებელი ნავაროს ესპანეთი. და იმ ესპანეთში რუდი ფერნანდესიც გკლავდა. და იმ ესპანეთმა ტონის 98:85 მოუგო. ის ესპანეთი საფრანგეთზე, პარკერზე, ყველა ფრანგზე კარგი და დაუნდობელი იყო. ნავარო ტურნირის საუკეთესო მოთამაშე გახდა და პარკერს კიდევ ერთხელ აწყენინეს.

პარკერი იზრდება და კარგი, მაგრამ არასტაბილური ფლეიმეიქერი შეიცვალა. უფრო სხვა, მანამდე მიუწვდომელ დონეზე გავიდა. ტონიმ დაიწყო მეოთხედების, თამაშების, სერიების მოგება და ტონი ტიმ დანკანთან ერთად „სან ანტონიოს“ ლიდერი გახდა. პარკერი ამ ევრობასკეტზე უნდა ჩასულიყო და ტონიმ ტურნირის წინ, ერთ-ერთ ვარჯიშზე, მაჯა იტკინა. პარკერმა მაინც ითამაშა. რომ არ ეთამაშა, სხვები ვერ გაიგებდნენ. ლიდერი სლოვენიაში ჩავიდა და არ ითამაშა. ლიდერს სლოვენიაში უნდა ეთამაშა. ლიდერმა საფრანგეთს პირველად პარკერების, ევრობასკეტების, საფრანგეთის ისტორიაში მოაგებინა ეს ტურნირი. საფრანგეთი შეიძლება არ იყო საუკეთესო (ესპანეთი უფრო გუნდურად აზროვნებდა და ლიტვაც იქვე, იმ დონეზე იდგა), მაგრამ საფრანგეთს ჰყავდა ტონი პარკერი. და ტონიმ მოსაგები მოიგო.

ევრობასკეტი დაიხურა. კარგი, ზედმეტად თანაბარი ტურნირი პო გასოლის, კირილენკოს, გალინარის გარეშე. ევროპის ჩემპიონატი ბევრი ვარსკვლავის გარეშე და მთავარ ვარსკვლავთან ერთად. ევროპის ჩემპიონატი, რომელიც ფრანგულად დაიხურა. ევროპის ჩემპიონატი საფრანგეთმა მოიგო. ევროპის ჩემპიონატი ტონი პარკერმა დაიტოვა და სლოვენიამ ახალი ესპანეთი, იან ვესელი, ალესანდრო ჯენტილე გადაგვაკითხა. საინტერესო წასაკითხი იყო. საინტერესო ავტორებთან ერთად. საფრანგეთი ცოტა ზარმაცი იყო და მშვიდი ტონით მწვანე მილი ბოლომდე გაიარა. სტივენ კინგის რომანში ბუნჩულა მისტერ კოფი მიდის და ტკივილს, მოგონებებს ტოვებს. სლოვენიაში ტონი პარკერმაც ტკივილი და მოგონებები დატოვა. უბრალოდ, ტონი დარჩა. შემდეგ ევრობასკეტამდე დარჩა. შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატამდე დარჩა. შემდეგ ოლიმპიადამდე დარჩა. და საფრანგეთმა კალათბურთში ზინედინ ზიდანი მიიღო. ზიდანი სხვა სახეობაში და ზიდანი სხვა გენერაციისთვის. ტონიმ უნდა დაისვენოს და ამერიკული მთებისთვის მოემზადოს. იქ გრეგ პოპოვიჩი ახალ, ძველ, უკეთეს ფრანგს ითხოვს და იქ დრაგიჩები და კალნიეტისები არ წამოვლენ. პარკერზე დერიკ როუზი, რას უესთბრუქი, კრის პოლი ავლენ და ტონიმ ეს არმადა უნდა გააჩეროს.

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130020866

შემსყიდველი	ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშო ბაღების ცენტრი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	23.09.2013 16:07
წინადადებების მიღება იწყება	25.09.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	27.09.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	6079 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	03200000-ბურღულეული, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი და თხილეული
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	03200000-ბურღულეული, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი და თხილეული
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ ტექნიკური დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	2013 წლის 31 დეკემბრამდე
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	61 ლარი
გარანტიის ოდენობა	61 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130020810

შემსყიდველი	იუსტიციის სახლი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	20.09.2013 19:14
წინადადებების მიღება იწყება	25.09.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	27.09.2013 13:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	34300 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გარეშე
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	39100000-ავეჯი
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	39113600-ძელსკამები, 39157000-ავეჯის ნაწილები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 35 (ოცდათხუთმეტი) სამუშაო დღე
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	350 ლარი
გარანტიის ოდენობა	343 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130020819

შემსყიდველი	ს. დღვანის საჯარო სკოლა
ტენდერის გამოცხადების თარიღი	21.09.2013 11:44
წინადადებების მიღება იწყება	24.09.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	26.09.2013 15:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	10000 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	45200000-მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	45261210-სახურავის გადახურვა
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 50 დღე
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	100 ლარი
გარანტიის ოდენობა	100 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130020811

შემსყიდველი	ქ.თბილისის საკრებულოს აპარატი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	20.09.2013 19:24
წინადადებების მიღება იწყება	25.09.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	27.09.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	3700 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	66500000-სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	66500000-სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებები, 66514100-ტრანსპორტთან დაკავშირებული სადაზღვევო მომსახურებები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების დადების დღიდან 31 დეკემბრის ჩათვლით
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	15 ლარი
გარანტიის ოდენობა	37 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130020812

შემსყიდველი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
ტენდერის გამოცხადების თარიღი	20.09.2013 19:50
წინადადებების მიღება იწყება	25.09.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	27.09.2013 12:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	4875 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	22400000-მარკები, ჩეკების წიგნაკები, ბანკნოტები, აქციები, სარეკლამო მასალა, კატალოგები და სახელმძღვანელოები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	22400000-მარკები, ჩეკების წიგნაკები, ბანკნოტები, აქციები, სარეკლამო მასალა, კატალოგები და სახელმძღვანელოები, 22455000-პირადობის დამადასტურებელი ბარათები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	7 500 ცალი
მოწოდების ვადა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	20 ლარი
გარანტიის ოდენობა	49 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130020825

შემსყიდველი	შპს აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა
ტენდერის გამოცხადების თარიღი	21.09.2013 17:54
წინადადებების მიღება იწყება	24.09.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	26.09.2013 14:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	4600 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	44200000-სტრუქტურული მასალები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	44200000-სტრუქტურული მასალები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ.სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	იხ.სატენდერო დოკუმენტაცია
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	50 ლარი
გარანტიის ოდენობა	46 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130020817

შემსყიდველი	თვითმმართველი ქალაქი ფოთი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	20.09.2013 23:13
წინადადებების მიღება იწყება	10.10.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	15.10.2013 13:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	2490594 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	45200000-მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	45213316-ფეხით მოსიარულეთა ბილიკების მშენებლობა
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	24906 ლარი
გარანტიის ოდენობა	24906 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130020815

შემსყიდველი	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	20.09.2013 22:29
წინადადებების მიღება იწყება	25.09.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	27.09.2013 15:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	1128971 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	45200000-მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	45221110-ხიდების მშენებლობა, 45233120-გზის მშენებლობა
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	5000 ლარი
გარანტიის ოდენობა	11290 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge